პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 8 იანვარი 1942 წ. № 6 (6322) ფასი 15 კაპ.

ფაშისტი მძარცველები და მაროდიორები უმაგალითოდ აოხრებენ, ძარცვავენ ჩვენი სამშობლოს აყვავებულ ქალაქებსა და სოფლებს. მუხანათურად ჰკლავენ საბჭოთა ადამიანებს.

მაგრამ წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი დაუნდობლად იძიებს შურს ჯალათებზე ავაზაკთა ამ მგარვალურ მხეცობასა და ძალადობაზე. მოსპობილ იქნება ჯალათების ურდო — გერმანელი ოკუპანტი!

სიკვდილი პირსისხლიან ფაშისტებს!

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტა

გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე მათი საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და საშინელი მხეცობის შესახებ

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა იმ ქვეყნების ყველა ელჩსა და დესპანს, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

წითელი არმიის წარმატებითი კონტრშეტევის პროცესში, რაც გრძელდება, მისი ნაწილების მიერ მთელი რიგი ქალაქებისა და სოფელ ადგილების განთავისუფლებამ, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა ხელში იმყოფებოდნენ დროებით, გამოააშკარავა და დღითიდღე სულ უფრო და უფრო ააშკარავებს საყოველთაო ძარცვის, საყოველთაო აკლების, საზიზღარი ძალადობის, აბუჩად აგდებისა და მასობრივ მკვლელობათა უმაგალითო სურათს, რასაც გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადიოდნენ თავიანთი შემოტევისას, ოკუპაციის დროს და უკან დახევისას. საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული მრავალი დოკუმენტური მასალა მოწმობს, რომ მოსახლეობის ძარცვა და აკლება, რასაც თან სდევს მხეცური ძალადობა და მასობრივი მკვლელობანი, გავრცელებულია ყველა რაიონში, რომლებიც კი გერმანელ დამპყრობთა ქუსლქვეშ მოხვდნენ. უდავო ფაქტები მოწმობს, რომ დაპყრობილი სოფლებისა და ქალაქების მშვიდობიანი მოსახლეობის გაძარცვისა და მის მიმართ სისხლიანი ტერორის რეჟიმი წარმოადგენს არა ცალკეული, არადისციპლინირებული სამხედრო ნაწილების, ცალკეული გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაიმე ექსცესებს, არამედ გარკვეულ სისტემას, რაც წინასწარ გათვალისწინებული და წაქეზებულია გერმანიის მთავრობისა და გერმანიის სარდლობის მიერ, რომლებიც თავიანთ არმიაში, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის შეგნებულად აღვივებენ უაღრესად მხეცურ, ქვენა ინსტინქტებს.

უკრაინისა და მოლდავეთის, ბელორუსიისა და ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე, კარელია-ფინეთის ტერიტორიაზე, რუსეთის რაიონებისა და ოლქების ტერიტორიაზე გერმანელ ფაშისტთა არმიის და მისი მოკავშირეების ყოველ ნაბიჯს მოაქვს ჩვენი ხალხის ურიცხვი მატერიალური და კულტურული ფასეულობის დანგრევა და მოსპობა, მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ გულმოდგინე შრომით შეძენილი ქონების დაკარგვა, კატორღული შრომის, შიმშილობის და სისხლიანი ანგარიშგასწორების რეჟიმის შემოღება, რომელთა საშინელებასთან შედარებით არაფრად მოსჩანს ყველაზე საზარელი დანაშაულობანი, როგორიც კი კაცობრიობის ისტორიას როდისმე სცოდნია.

საბჭოთა მთავრობა და მისი ორგანოები ეწევიან ჰიტლერის არმიის ყველა ამ ავაზაკური დანაშაულის დაწვრილებით აღრიცხვას, რის სამაგიეროსაც აღშფოთებული საბჭოთა ხალხი სამართლიანად მოითხოვს და მიუზღავს კიდევაც.

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია აცნობოს მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას, მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს თავისი განცხადება იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც ახასიათებენ საშინელ დანაშაულს, რასაც ჰიტლერის არმია სჩადის საბჭოთა კავშირის მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

I

ყველგან, სადაც კი საბჭოთა ტერიტორიაზე ფეხს შემოსდგამდნენ გერმანელი დამპყრობნი, ისინი ანგრევდნენ და აოხრებდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. სსრ კავშირის დროებით ოკუპირებულ რაიონებში ათობით ქალაქები, ათასობით სოფლები დანგრეულია ანდა მთლად გადაბუგულია მათ მიერ. აღნუსხულია მრავალი ფაქტი გერმანიის ჯარების მიერ საქალაქო შენობების, საწარმოების, ნაგებობების, მთელი უბნების ყაჩაღური დანგრევისა და მოსპობისა, როგორც ეს მოხდა მინსკში, კიევში, ნოვგოროდში, ხარკოვში, როსტოვში, კალინინში და სხვა ქალაქებში. ისეთი ქალაქები, როგორიც არის ისტრა, კლინი, როგაჩევო მოსკოვის ოლქში, ეპიფანი ტულის ოლქში, ელნია სმოლენსკის ოლქში და მთელი რიგი სხვა ქალაქები ნანგრევებად არის გადაქცეული. გერმანელმა დამპყრობლებმა პირისაგან მიწისა აღგავეს ასობით სოფლები უკრაინასა და ბელორუსიაში, მოსკოვის, ლენინგრადის, ტულისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ოლქებში. ოკუპანტებმა ტულის ოლქის სოფელ დედილოვოში 998 სახლიდან გადაწვეს 960, კურსკის ოლქის სოფელ პოჟიდაევკაში 602 სახლიდან გადაწვეს 554, მოსკოვის ოლქის კრასნაია პოლიანის რაიონის სოფელ ოზერეცკოეში 232 სახლიდან გადაწვეს 225. იმავე რაიონის სოფელი კობნეშკი, რომელშიც 123 სახლი იყო, მთლიანად გადამწვარია. მოსკოვის ოლქის ვისოკოვსკის რაიონის სოფელ ნეკრასინოში 99 სახლიდან გადამწვარია 85, სოფელ ბაკლანოვოში 69 სახლიდან გადამწვარია 66. როცა სტოვებდნენ მოსკოვის ოლქის სოფლებს — კრასნაია პოლიანას, მიშეცკოეს, ოჟერელიეს, ვისოკოვოს, — გერმანელები გამოჰყოფდნენ ხოლმე მევტომატეებს, რომლებიც საწვავიანი ბოთლებით ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს. იმ მცხოვრებლებს, რომლებიც ხანძრის ჩაქრობას ცდილობდნენ, გერმანელები ავტომატებს უშენდნენ. სოფელ მიშეცკოეში 80 კომლიდან 5 კომლი გადარჩა, ოჟერელიეში 200 კომლიდან — 8 კომლი, სოფელ ვისოკოვოში 76 სახლიდან 3 სახლი გადარჩა. 70 წლის გლეხი ფ. ჯ. გრიგორიევი დახვრიტეს იმისათვის, რომ მან სთქვა, — „ქოხს ნუ დამიწვავთო“.

ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ამ დანაშაულებრივი, უსინდისო აოხრებით გამოიხატა ჰიტლერელთა უსაზღვრო მძულვარება ჩვენი ქვეყნისადმი, საბჭოთა ხალხის შრომისა და მიღწევებისადმი, იმისადმი, რაც უკვე გაკეთებულია სსრ კავშირში გლეხების, მუშებისა და ინტელიგენციის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მაგრამ დამპყრობთა ეს დანაშაულებრივი ბოროტმოქმედება ყველგან ტარდება და ზემოდან მიცემული ბრძანებით ხორციელდება. ამას წინათ ორიოლის ოლქის ქალაქ ვერხოვიეს ახლოს ხელში ჩაგდებულ, გერმანიის 512-ე ქვეითი პოლკისადმი ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერს პოლკოვნიკი შიტნიკი, უსაზღვრო უტიფრობით ნათქვამია:

„ის ზონა, რომელიც, გარემოების მიხედვით, ევაკუირებულ უნდა იქნას, ჩვენი ჯარის უკან დახევის შემდეგ უდაბნოს უნდა წარმოადგენდეს... იმ პუნქტებში, რომლებიც სრულიად უნდა დაინგრეს, ყველა სახლი უნდა გადაიწვას; ამისათვის სახლები, განსაკუთრებით კი ქვიტკირის სახლები წინასწარ ჩალით უნდა გამოიტენოს, ქვის ნაგებობანი უნდა აფეთქდეს, განსაკუთრებით უნდა დაინგრეს აგრეთვე სარდაფები. გაპარტახებული ზონის შესაქმნელად საჭირო ღონისძიებანი მთლიანად უნდა მომზადდეს და დაუნდობლად განხორციელდეს“.

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს რომ აპარტახებს, გერმანიის სარდლობა თავისი ჯარებისაგან მოითხოვს, რომ **„უდაბნოს ზონა“** შექმნან ყველა საბჭოთა ადგილებში, საიდანაც წარმატებით ერეკებიან დამპყრობლებს წითელი არმიის ჯარები. მაგრამ ოკუპანტები, სადაც კი ჯერ კიდევ არიან ჩვენს ტერიტორიაზე, ყველგან განაგრძობენ თავიანთ საზიზღარ საქმეს, ბანდიტურად აქცევენ დასახლებულ ადგილებს „უდაბნოს ზონად“. ისინი აფეთქებენ და სწვავენ საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ შენობებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, სკოლებს, ბიბლიოთეკებს, საავადმყოფოებს, ეკლესიებს.

იმ სოფლებში, რომლებიც გერმანელთა ხელისუფლების ხელშია, მშვიდობიან **გლეხურ მოსახლეობას** საშინლად სძარცვავენ და ყვლეფენ. გლეხებს ართმევენ მთელი ათეული წლობით მუყაითი შრომით შეძენილ ქონებას, ართმევენ ქოხს, პირუტყვს, პურს, ტანსაცმელს, — ყველაფერს, უკანასკნელ ბავშვის პერანგსაც კი, უკანასკნელ მუჭა მარცვალსაც კი. გერმანელი ოკუპანტები სოფლის მოსახლეობას, მათ შორის მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებსაც, ხშირად სოფლის დაკავებისთანავე ერეკებიან მათი სახლებიდან და ისინი იძულებული ხდებიან მიწურებში, მიწურ ხვრელებში, ტყეში შეიხიზნონ ან სულაც ცის ქვეშ იყვნენ. ოკუპანტები დღისით-მზისით აშიშვლებენ გზებზე, ვინც კი მოხვდებათ, მათ შორის ბავშვებსაც, სასტიკად უსწორდებიან ყველას, ვინც შეეცდება პროტესტი განაცხადოს ან რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს ძარცვას.

წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ როსტოვის ოლქისა და ვოროშილოვგრადის ოლქის სოფლებში, უკრაინაში ოკუპანტებს გლეხები არაერთხელ გაუძარცვავთ, როდესაც ამ ადგილებში გაივლიდნენ ხოლმე გერმანელთა სხვადასხვა სამხედრო ნაწილები; ყოველი მათგანი ხელახლა იწყებდა სურსათის ჩაუბარებლობის გამო ჩხრეკას, ძარცვას, გადაწვას, ხვრეტას. ასევე იყო მოსკოვის, კალინინის, ტულის, ორიოლის, ლენინგრადის და სხვა ოლქებშიც, საიდანაც ახლა წითელი არმიის ჯარები ერეკებიან გერმანელ დამპყრობთა ჯარების ნაშთებს.

მაგალითად, ტულის ოლქის სოფელ მასლოვოში გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მთელი სურსათი წაართვეს მოსახლეობას და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ამ სოფელში ყოველდღე 1-2 კაცი კვდებოდა შიმშილით. გერმანელების მიერ დაპყრობილი ასეთი სოფლები გვხვდება ყველგან. გერმანელი დამპყრობლები სოფლებში ყველგან ართმევენ მოსახლეობას სურსათის მთელ მარაგს, უხოცავენ საქონელსა და ფრინველს, ართმევენ პურსა და სხვა სანოვაგეს და უკანასკნელ ქურდბაცაცებსავით მიაქვთ მთელი საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი, ავეჯი, ბავშვის სათამაშოები. ვოროშილოვგრადის ოლქის სოფელ გოლუბოვკაში გერმანელებმა მცხოვრებნი, რომლებსაც მათ უკვე წინათ წაართვეს სურსათის მთელი მარაგი, დამატებით გაძარცვეს, ქალებსა და ბავშვებს საჭმლის უკანასკნელი ნარჩენები წაართვეს, გაიტაცეს ყველა საოჯახო ნივთი, ტანისამოსი, ბალიშები, საბნები, სამზარეულოს მოწყობილობა, რისწაღებაც კი შეიძლებოდა. მეტად ფართოდ არის გავრცელებული ასეთი ფაქტები: სოფელ გოლუბოვკაში კოლმეურნე ქალს მ. ი. ლეშჩენკოს, სამი მცირეწლოვანი შვილის დედას, გერმანელებმა წაართვეს ბავშვის პერანგები და პალტოები და ბავშვებისათვის დარჩენილი მთელი საზრდო; იმავე სოფელში გერმანელი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი სახლში შეუვარდნენ მასწავლებელ ქალს ვ. ი. მატინკოს, წაართვეს მას მთელი ტანისამოსი და ბავშვის ნივთები, ხოლო ავეჯი, რომლის წაღებაც ვერ შესძლეს, ცულით დაჩეხეს. ტულის ოლქის სოფელ პროდნოეში გერმანელი ჯარისკაცები შეუვარდნენ სახლში, სადაც 150 ინვალიდი იყო მოთავსებული, უმწეო ადამიანებს იარაღით დაემუქრნენ და წაართვეს მათ მთელი თბილი ტანისამოსი და პროდუქტები; წითელი არმიის ნაწილების მიერ ტულის ოლქის სოფელ კოლოდეზნაიას განთავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე გერმანელებმა 7 დეკემბერს ამ სოფელში დახვრიტეს 32 მამაკაცი და ქალი ვითომდა იმისათვის, რომ მათ გერმანელებს ყველა თბილი ნივთი არ ჩააბარეს; მოსკოვის ოლქის სოფელ ვლასოვოში ერთ-ერთი კოლმეურნე ქალი რომელმაც მძარცველებს მათ მიერ კომბოსტოს და კარტოფილის მოპარვის დროს წინააღმდეგობა გაუწია, დაჭრილ იქნა ავტომატით, ხოლო როცა დაჭრილმა ქალმა ყვირილი მორთო, გერმანელების წყევლა დაიწყო და ბანდიტები და მძარცველები უწოდა მათ, გერმანელებმა იგი ავტომატით დახვრიტეს; ამის შემდეგ მათ ავტომატებით დაუწყეს ხვრეტა სოფლის მოსახლეობას, რომელსაც იქ თავი მოეყარა. გერმანიის არმიამ ყველგან შემოიღო სისხლიანი რეპრესიების რეჟიმი იმ საბაბით, რომ მთელი სურსათი არ არის ჩაბარებული, რომ ყველა თბილი ნივთი არ არის გადაცემული, რომ ნივთებისა და პროდუქტების ჩაბარება არასაკმაოდ სწრაფად ხდება და სხვ. მაროდიორებზე და მძარცველებზე გერმანელ ხელისუფალთა წინაშე ჩივილის ცდები მიჩნეულია „კომუნისტურ პროპაგანდად“ და საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობად და ახალ რეპრესიებს იწვევს.

საკოლმეურნეო ქონება და საკოლმეურნეო პირუტყვი თავიანთი მძარცველური ხელიდან რომ არ გაუშვან, გერმანელმა დამპყრობლებმა კოლმეურნეობებში თავიანთი ფაშისტი „მმართველები“ დასვეს; საამისოდ ისინი გერმანიაში აგროვებენ მუქთიანი გამორჩომის ყოველგვარ მოყვარულებს, რომლებიც ჰიტლერის პარტიას ეკუთვნიან, ზოგჯერ კი საზიზღარ არამზადებს ჩვენს მოქალაქეთაგან. თავიანთ ბრძანებებში გერმანელი ოკუპანტები თავხედურად აცხადებენ: „საკოლმეურნეო მიწა, საკოლმეურნეო ქონება გერმანიის არმიის საკუთრებად გადადის“. 9 ივლისის ერთ-ერთ ასეთ ბრძანებაში გერმანიის სარდლობის მიერ განკარგულება იყო გაცემული: „ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან 48 საათის განმავლობაში მთელი უფილი საკოლმეურნეო ქონება, რომელიც სოფლელებს აქვთ, უნდა ჩაჰბარდეს სათანადო მმართველებს. შეუსრულებლობისათვის—დახვრეტა“. ასე ეპყრობიან მტაცებელი მძარცველი ბანდიტები ჩვენს გლეხებსა და მათს დოვლათს.

გერმანელთა მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში თავაშვებული ძარცვა განიცადა **ქალაქის მოსახლეობამაც**. გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებში ყველგან იჭრებოდნენ ადგილობრივი მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენტების, ღრმად მოხუცებული პენსიონერების ბინებში, არაფერს არ უწევდნენ ანგარიშს, არავითარ ქურდობას არ თაკილობდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ, ძვირფასი ნივთებიდან სამზარეულოს უბრალო მოწყობილობამდე. მაროდიორების მთელ ამ ყაჩაღობას თან სდევს სისხლიანი რეპრესიები.

მაგალითად, ქ. ორიოლში, ქალაქის ცენტრში, გერმანელებმა სახრჩობელა აღმართეს და მასზე ჩამოჰკიდეს მოხუცი, რომელმაც პროტესტი განაცხადა ძარცვის წინააღმდეგ, ხოლო მის გვერდით ჩამოჰკიდეს რამდენიმე მოქალაქე, რომლებმაც უარი სთქვეს დახმარებოდნენ ჰიტლერელებს მოსახლეობისათვის ტანისამოსისა და თეთრეულის წართმევაში.

წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ქ. დონის როსტოვში გერმანელებმა ყველა მაღაზია გაძარცვეს, ისინი გამვლელებს ქუჩებში ტანისამოსსა და ფეხსაცმელს ხდიდნენ, საათებსა და სხვა ძვირფას ნივთებს ართმევდნენ, სძარცვავდნენ უკლებლივ ყველა ბინას, უაზროდ სპობდნენ იმას, რისი წაღებაც ძნელი იყო.

მოსკოვის ოლქის ქალაქ ისტრაში ოკუპანტებმა მოსახლეობას პირდაპირ მთელი ქონება წაართვეს: თეთრეული, ტანისამოსი, ჭურჭელი, ავეჯი. ოკუპანტები მუშებსა და მუშა ქალებს პირდაპირ ქუჩებში ხდიდნენ ტანისამოსსა და ფეხსაცმელს. მცხოვრებლებს მასობრივად ასახლებდნენ ბინებიდან, სახლებს ართმევდნენ. 10 დეკემბერს გერმანელებმა ამ ქალაქის 2 ათასამდე მცხოვრები ბავშვებიანად სოფელ დარნის ეკლესიაში შერეკეს, სადაც ბევრი მათგანი სიცივითა და შიმშილით დაიხოცა. ქალაქ ისტრიდან უკან დახევისას გერმანელებმა გადასწვეს ქალაქი და ამით დაავგვირგვინეს ისტრაში ჩადენილი თავიანთი საზიზღარი დანაშაულობანი.

გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მძარცველური ორგია მათ მიერ დაპყრობილ ყველა საბჭოთა რაიონში გავრცელდა. გერმანელმა ხელისუფლებმა თავიანთ არმიაში დააკანონეს მაროდიორობა და ამით აქეზებენ ამ ძარცვასა და ძალადობას. გერმანიის მთავრობა ამაში ხედავს მის მიერ გამოცხადებული იმ ბანდიტური „პრინციპის“ განხორციელებას, რომლის თანახმადაც ყოველი გერმანელი მეომარი „პირადად უნდა იყოს დაინტერესებული ომით მატერიალურად“. მაგალითად, ჯერ კიდევ 1941 წლის 17 ივლისის საიდუმლო ინსტრუქციაში, რომელიც მიმართულია გერმანიის არმიის პროპაგანდის ასეულების ყველა მეთაურისადმი და რომელიც წითელი არმიის ნაწილებმა იპოვნეს გერმანიის 68-ე ქვეითი დივიზიის განადგურების დროს, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ აუცილებელია „ჩაუნერგოთ გერმანიის არმიის ყოველ ოფიცერსა და ჯარისკაცს ომით პირადი მატერიალური დაინტერესების გრძნობა“... ასეთსავე ბრძანებებს, რომლებიც არმიას აქეზებენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მასობრივი ძარცვისა და მკვლელობისაკენ, იძლევიან ომში გერმანიის მოკავშირე სხვა არმიებშიც. მაგალითად, რუმინეთის მე-14 დივიზიის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლაესკუს № 24220 ბრძანებაში ნათქვამია:

„პური, მსხვილფეხა რქიანი საქონელი, წვრილფეხა რქიანი საქონელი, შინაური ფრინველი — ყველაფერი ეს უნდა ჩამოერთვას მოსახლეობას არმიისათვის. ყოველი სახლი გულდასმით უნდა გაჩხრიკოთ და ყველაფერი უკლებლივ უნდა წამოიღოთ... სულ მცირედი წინააღმდეგობისათვის იქვე დახვრიტეთ, ხოლო სახლები გადასწვით“.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე და, კერძოდ, მოსკოვის მისადგომებზე სულ უფრო და უფრო ხშირად შეხვდებით ისეთ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებსაც ნაძარცვი ტანისამოსი აცვიათ და ჯიბეებში ნაქურდალი ნივთები აქვთ და რომლებსაც ტანკებით მიაქვთ ქალისა და ბავშვის ტანისამოსი, ფეხსაცმელი და თეთრეული, რაც მათ თავიანთი მსხვერპლისათვის გაუძრიათ. გერმანიის არმია სულ უფრო და უფრო იქცევა მხეცი მძარცველებისა და მაროდიორების არმიად, რომლებიც აოხრებენ და ძარცვავენ საბჭოთა კავშირის აყვავებულ ქალაქებსა და სოფლებს, იტაცებენ და სპობენ ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მშრომელი მოსახლეობის მიერ შეძენილ ქონებასა და ყოველგვარ დოვლათს. ფაქტები მოწმობს უაღრეს მორალურ დეგრადაციასა და გახრწნას ჰიტლერის არმიისას, რომელმაც თავისი ძარცვისა, ქურდობისა და მაროდიორობისათვის მთელი საბჭოთა ხალხის მრისხანე წყევლა და ზიზღი დაიმსახურა.

II

ყველგან, სადაც კი საბჭოთა ტერიტორიაზე გამოჩნდნენ გერმანიის ჯარები და გერმანელი ხელისუფალნი, დაუყოვნებლივ მყარდება უმწეო სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ უსასტიკესი ექსპლოატაციის, უუფლებობისა და თვითნებობის რეჟიმი. ოკუპანტები კატორღული შრომის რეჟიმს ამყარებენ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, რომელიც მათ აიკლეს და რომელსაც საარსებო საშუალებებს ართმევენ. ჰიტლერელები ანგარიშში არ უწევენ საბჭოთა მოქალაქეების არც ასაკსა და არც ჯანმრთელობის მდგომარეობას და, მათი სახლების დაკავების ან დანგრევის შემდეგ, მრავალ მათგანს საკონცენტრაციო ბანაკებში შერეკავენ ხოლმე და წამების, დახვრეტის და შიმშილით სიკვდილის მუქარით აიძულებენ უფასოდ შეასრულონ სხვადასხვა მძიმე სამუშაო, მათ შორის სამხედრო ხასიათის სამუშაოც. მთელ რიგ შემთხვევებში, სამხედრო ხასიათის ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად სამოქალაქო მოსახლეობის გამოყენების შემდეგ, მომუშავეებს, საიდუმლოების დაცვის მიზნით, უკლებლივ ყველას ხვრეტენ.

მაგალითად, სმოლენსკის ოლქის სოფელ კოლპინოში ოკუპანტებმა ყველა გლეხი გარეკეს გერმანიის ჯარის ნაწილებისათვის ხიდებისა და ბლინდაჟების ასაგებად. ამ სიმაგრეთა მშენებლობის დამთავრების შემდეგ ყველა გლეხი დახვრიტეს.

რათა საიდუმლოდ შეენახათ სიმაგრეთა მშენებლობა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, უკრაინის სოფელ კრიაკოვის რაიონში, ამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გერმანელებმა დახვრიტეს აღნიშნულ მშენებლობაში მონაწილე 40 ადგილობრივი მცხოვრები და ტყვე წითელარმიელები.

წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული მთელი რიგი, ერთმანეთს დაშორებული რაიონების მცხოვრებნი ერთხმად აცხადებენ, რომ გერმანელები სამოქალაქო მოსახლეობას იყენებდნენ ისეთი განსაკუთრებით საშიში სამუშაოებისათვის, როგორიც არის შეტევაზე გადასულ გერმანელთა ნაწილების წინ მდებარე ადგილებისა და ობიექტების ნაღმებისაგან გაწმენდა.

გერმანელთა სარდლობის მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ხელთ იგდეს წითელი არმიის ნაწილებმა როსტოვის მახლობლად მისი შეტევითი ოპერაციების დროს, ამტკიცებენ, რომ განსაკუთრებით საშიში სამხედრო სამუშაოებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება გათვალისწინებულია გერმანელთა სარდლობის სპეციალური ინსტრუქციით. მაგალითად, გერმანელთა 76-ე ქვეითი დივიზიისადმი 11 ოქტომბერს გაცემული ბრძანების მე-6 პუნქტში, რომელიც ნაღმებისაგან გაწმენდას ეხება, ნათქვამია: „საჭიროა სიცოცხლისათვის საშიშ სამუშაოებში გამოიყენოთ ტყვეები და ცალკეული პირები ადგილობრივი მოსახლეობიდან“.

ეს ყოველგვარი საერთაშორისო ნორმისა და ადამიანის ყოველგვარი მორალის მხოლოდ ერთ-ერთი საზიზღარი დარღვევაა მრავალთა შორის, რითაც თავი შეირცხვინა გერმანელთა სარდლობამ.

იძულებითს სამუშაოზე ძალით გაგზავნილ მშვიდობიან მცხოვრებლებს გერმანელი ხელისუფალნი „სამხედრო ტყვეებად“ აცხადებენ და შინახვის რეჟიმის მხრივ მათ უთანაბრებენ. გამორკვეულია, რომ იმ გლეხებსა და სხვა მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომლებსაც ხელთ იგდებენ გერმანელები და იძულებითს სამუშაოზე მიერეკებიან, გერმანიის არმიის შტაბების მოხსენებებში ავტომატურად ჩარიცხავენ ხოლმე „წამოყვანილ სამხედრო ტყვეთა“ კატეგორიაში, რითაც ხელოვნურად და უკანონოდ ადიდებენ „სამხედრო ტყვეთა“ რიცხვს. ამრიგად, მხეცური რეჟიმი, რომელიც სამხედრო ტყვეებისათვის არის დაწესებული გერმანელ ფაშისტ ხელისუფალთა მიერ, სამოქალაქო მოსახლეობის ხვედრიც ხდება.

ტულის ოლქის ქ. პლავსკის მახლობლად მოწყობილი იყო ბანაკი, სადაც ერთად ჰყავდათ დამწყვდეული სამხედრო ტყვეები და ახლო-მახლო სოფლების სამოქალაქო მოსახლეობა. ბანაკში დამწყვდეულ გლეხთა შორის მოზარდებიცა და მოხუცებიც იყვნენ. საკვებად მათ დღე-ღამეში ორ კარტოფილსა და ქერის ცოტაოდენ ფაფას აძლევდნენ. ბანაკში მყოფ გლეხებს წყალს არ აძლევდნენ და უბრძანებდნენ თოვლით მოექლათ წყურვილი. ბანაკში სიკვდილიანობა დღეში 25-30 კაცს აღწევდა. თუ დამწყვდეულნი ჯგუფად შეიკრიბებოდნენ, გერმანელები ასეთ ჯგუფს გაუფრთხილებლად ესროდნენ. პოლტავის ოლქის სოფელ ბერეზნიაკში გამოკრულია გერმანელთა სარდლობის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ „სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის ადგილობრივი მცხოვრებნი დახვრეტილ იქნებიან“.

ოკუპანტებს მრავალ ათასობით მშვიდობიანი მცხოვრებნი არა მარტო იძულებითს სამუშაოზე მიჰყავთ მახლობელ რაიონებში, არამედ გერმანიის ღრმა ზურგშიც მიერეკებიან სამუშაოდ — გერმანელ მემამულეებთან, რათა იქ მშიერებმა მონურად იშრომონ.

სმოლენსკის ოლქის მარტო ილინის რაიონის სოფლების ლუჩანეს, სემიცის, დუბოვეცკოეს, კოროლევშჩინის და აბრამოვშჩინის ასობით გლეხები, რომლებიც იძულებითს სამუშაოზე წაიყვანეს, უკვალოდ დაიკარგნენ.

გერმანელმა ხელისუფლებმა, როცა ისინი 22 ნოემბერს მოსკოვის ოლქის ზვენიგოროდის რაიონის სოფელ ფაუსტოვოში შემოვიდნენ, მთელი მოსახლეობა შეჰყარეს. მამაკაცები და ჯანსაღი ქალები შეარჩიეს და თავიანთ შორეულ ზურგში გაჰგზავნეს.

უკან დახევისას გერმანელებმა თავის ზურგში გარეკეს მოსკოვის ოლქის ზვენიგოროდის რაიონის სოფლების ერშოვოს, სკოკოვოს და ფუნკოვოს მოსახლეობა, აგრეთვე სოლნეჩნოგორსკის რაიონის სოფელ ესიპოვოს მოსახლეობა, ამასთან მათ წინასწარ გადასწვეს ყველა ეს სოფელი. ასევე მოხდა მოსკოვის, კალინინის, ტულის, რიაზანისა და ორიოლის ოლქების მრავალ სხვა, ახლა განთავისუფლებულ სოფელში.

ხარკოვის ოლქის შევჩენკოს რაიონის უკრაინული სოფლების ხუდოიაროვოს, ნოვი ლიმანის და მთელი რიგი სხვა სოფლების დატოვებისას გერმანელებმა მთლად გადაბუგეს ეს სოფლები და უკლებლივ წაიყვანეს მთელი მოზრდილი მოსახლეობა.

გერმანელები კატორღული შრომისა და საკონცენტრაციო ბანაკების რეჟიმს ატარებენ მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა ქალაქებშიც.

მაგალითად, გერმანელები კიევის დაკავების შემდეგ სამუშაოზე მიერეკებოდნენ მთელ სამოქალაქო მოსახლეობას 11-დან 60 წლამდე, პროფესიის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეროვნების განურჩევლად. ავადმყოფებს, რომლებსაც ფეხზე დგომა არ შეეძლოთ, სამუშაოს გაცდენილი დღეებისათვის გერმანელები ყოველდღიურად 50 მანეთით აჯარიმებდნენ თითოეულს.

დნეპროპეტროვსკის ოლქის მეორე უკრაინულ ქალაქ პიატიხატკაში გერმანელებმა მთელი მოსახლეობა გარეკეს იძულებითს სამუშაოზე გზების შესაკეთებლად, აიძულებდნენ მათ ოც-ოც საათს ემუშავნათ დღე-ღამეში და არც პურსა და არც წყალს არ აძლევდნენ. მოხუცებსა და ქალებს, რომლებიც დაუძლურებისაგან ეცემოდნენ, ჰიტლერელები კონდახის ცემით ამუშავებდნენ, არაფერს არ უწევდნენ ანგარიშს და სასტიკი სასჯელისა და დახვრეტის შიშით აშრომებდნენ.

ხარკოვში ოკუპანტებმა გადასწყვიტეს ცალკე აბუჩად აეგდოთ ადგილობრივი უკრაინელი ინტელიგენცია. 5 ნოემბერს ყველა მსახიობს განკარგულება მისცეს სარეგისტრაციოდ შევჩენკოს სახელობის თეატრის შენობასთან გამოცხადებულიყვნენ. როცა მსახიობნი შეგროვდნენ, მათ გარს შემოერტყნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომლებმაც ისინი საზიდრებში შეაბეს და ყველაზე ხალხმრავალი ქუჩებით მდინარისაკენ გარეკეს წყლის მოსაზიდად.

ყველა ოკუპირებულ ოლქში გერმანიის მთავრობამ ადგილობრივ ფაშისტ მმართველებად დასვა ჰიტლერის პარტიაში მოკალათებული ყოველგვარი არამზადები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ არავითარ სამოქალაქო უფლებებს, მოსახლეობის არავითარ ნაციონალურ თავისებურებებს და რომლებსაც სწადიათ ყველაფერი გააგერმანელონ და უკმაყოფილონი გაჟლიტონ. გერმანელი ხელისუფალნი ყველაფერს სჩადიან იმისათვის, რომ მოსპონ საბჭოთა სახელმწიფოში აყვავებული რესპუბლიკების — უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის არსებობის ყოველგვარი ნიშანწყალი. გერმანელმა დამპყრობლებმა იციან, რომ ამ საბჭოთა რესპუბლიკებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს უკრაინელი, ბელორუსი, ლიტველი, ლატველი, ესტონელი და მოლდაველი ხალხების აღორძინებისათვის, ამ ხალხების ნაციონალური კულტურის ყოველნაირად განვითარებისათვის, ისევე როგორც ეს მოიმოქმედა ყველა ხალხმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში ძმური თანამეგობრობით ცხოვრობენ. გონებაჩლუნგი ფაშისტები კიდევ დარწმუნდებიან, რომ ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ამ ხალხთა გაგერმანელებასა და დამორჩილებას. საზღვარი არა აქვს გერმანელ დამპყრობთა გაბოროტებას თავისუფლებისმოყვარე რუსი ხალხისა და უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ. უკრაინულ, ბელორუსულ და სხვა ნაციონალურ კულტურათა მოსპობა, ნაციონალური ძეგლების, სკოლების, ლიტერატურის მოსპობა და, ეროვნებათა განურჩევლად, მოსახლეობის იძულებითი გაგერმანელება მოსდევს ყველგან გერმანელთა ოკუპაციას, ისეთივე დანაშაულებრივი კანონზომიერებით, როგორც ძარცვა, ძალადობა, ცეცხლის წაკიდება და მასობრივი მკვლელობა.

რუსული კულტურის ღვარძლიან დევნაში გერმანელმა დამპყრობლებმა გერმანული ფაშიზმის მთელი საძაგლობა და ვანდალიზმი გეიჩინეს. თვენახევრის განმავლობაში გერმანელებს ოკუპირებული ჰქონდათ მთელ მსოფლიოში ცნობილი იასნაია პოლიანა, სადაც დაიბადა, ცხოვრობდა და ჰქმნიდა კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გენიოსი — ლევ ტოლსტოი. რუსული კულტურის ეს სახელგანთქმული ძეგლი, რომელიც წითელი არმიის ნაწილებმა ოკუპანტებისაგან 14 დეკემბერს გაათავისუფლეს, ნაცისტმა ვანდალებმა ააოხრეს, წაბილწეს და, ბოლოს, გადასწვეს. დიდი მწერლის საფლავი წაბილწული იყო ოკუპანტების მიერ. ლევ ტოლსტოის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული განუმეორებელი რელიქვიები — უიშვიათესი ხელნაწერები, წიგნები, სურათები ან მოპარული აღმოჩნდა გერმანელთა სამხედრო ხროვის მიერ, ანდა გადაყრილი და მოსპობილი. გერმანელმა ოფიცერმა შვარცმა, პასუხად მუზეუმის თანამშრომელთა თხოვნისა — შეეწყვიტნა სახლის გათბობა დიდი მწერლის პირადი ავეჯითა და წიგნებით და საამისოდ იქვე დაწყობილი შეშა ეხმარა, შემდეგი უპასუხა: „შეშა ჩვენ არა გვჭირდება. ჩვენ დავწვავთ ყველაფერს, რაც თქვენი ტოლსტოის სახელთან არის დაკავშირებული“.

საბჭოთა ჯარების მიერ 15 დეკემბერს ქ. კლინის განთავისუფლებისას გამოირკვა, რომ სახლი, რომელშიც ცხოვრობდა და ჰქმნიდა დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მუზეუმად გადაქცეული, დაერბიათ და გაეძარცვათ ნაცისტ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. თვით სახლ-მუზეუმის შენობაში გამხეცებულ ოკუპანტებს გარაჟი მოეწყოთ მოტოციკლებისათვის და ამ გარაჟს ათბობდნენ ხელნაწერებით, წიგნებით, ავეჯით და მუზეუმის სხვა ექსპონატებით, რომელთა ნაწილი ყოველი შემთხვევისათვის მოიპარათ მოთრეულ გერმანელებს. ამასთან ნაცისტმა ოფიცრებმა იცოდნენ, რომ ისინი ბილწავდნენ რუსული კულტურის უშესანიშნავეს ძეგლებს.

ქ. ისტრის ოკუპაციის დროს გერმანელთა ჯარებმა საომარი მასალის საწყობი მოაწყეს სახელგანთქმულ ძველ რუსულ მონასტერში, რომელიც ახალი იერუსალიმის სახელით არის ცნობილი, რომელიც დაარსებულია ჯერ კიდევ 1654 წელს და რესტავრირებულია XVIII საუკუნეში დიდი არქიტექტორების — რასტრელისა და კაზაკოვის მიერ. ახალი იერუსალიმის მონასტერი რუსი ხალხის ღირსშესანიშნავი ისტორიული და რელიგიური ძეგლია და ცნობილია, როგორც ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობა. ამან ხელი არ შეუშალა იმას, რომ ისტრიდან უკან დახევისას გერმანელ ფაშისტ მძარცველებს აეფეთქებინათ ახალ იერუსალიმში მოთავსებული თავისი საომარი მასალის საწყობი და ნანგრევებად ექციათ რუსეთის საეკლესიო ისტორიის განუმეორებელი ძეგლი.

სსრ კავშირის ხალხთა კულტურის სხვა ძეგლებს შორის, რომლებიც გერმანელებმა ვანდალურად დაანგრიეს და წაბილწეს, უნდა დავასახელოთ ოკუპანტების მიერ მოსპობილი დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს ძეგლი ქ. კანევში, უკრაინაში, აგრეთვე სახლი ქ. ტიხვინში, სადაც ცხოვრობდა დიდი რუსი კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი, საქვეყნოდ სახელგანთქმული რუსი მწერლის ჩეხოვის სახლი ტაგანროგში და მრავალი სხვა.

გერმანელი დამპყრობნი არაფერს არ ერიდებიან, რათა საბჭოთა რესპუბლიკების იმ რაიონებში, რომლებიც მათ მიერ არის ოკუპირებული, ყოველნაირად შეურაცხჰყონ ნაციონალური გრძნობა რუსებისა, უკრაინელებისა, ბელორუსებისა, ლატვიელებისა, ლიტველებისა, ესტონელებისა, მოლდაველებისა, აგრეთვე სსრ კავშირში მოსახლე სხვა ეროვნებათა ცალკეული პირებისა, რომლებსაც ისინი, როცა თავიანთ სისხლიან გზაზე ხვდებიან, ასევე აბუჩად იგდებენ და რომელთა მიმართ ასევე ძალადობენ — ებრაელებისა, ქართველებისა, სომხებისა, უზბეკებისა, აზერბაიჯანელებისა, ტაჯიკებისა და საბჭოთა ხალხების სხვა წარმომადგენლებისა, რო-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტა

გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე მათი საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და საშინელი მხეცობის შესახებ

დასასრული

მელნიც ერთმანეთთან ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის გრძნობით არიან შედუღაბებულნი საბჭოთა კავშირში.

ჰიტლერელებმა, რომელნიც თავიანთ თავს ვითომდა „უმაღლესი რასის" წარმომადგენლებად ასაღებენ და საბჭოთა კავშირის თავისუფლებისმოყვარე ხალხებისაგან მოითხოვენ დამონებულთა მორჩილებას და ძალისძალად მონურ შრომას, მთელი თავიანთი საზიზღარი და მხეცური … [illegible]

მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში გერმანელ ოკუპანტებს, რომლებსაც გერმანული „უმაღლესი რასის" აზრით არა მარტო სწადიათ ჩაგრონ თავიანთი ხალხი, არამედ აგრეთვე მონობაში ჩააგდონ სხვა ხალხებიც. გერმანიის არმია შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე იმისათვის, რომ მოსპოს საბჭოთა ხალხების თავისუფალი ცხოვრება … [illegible]

ვ. მ. ბერეზნიკოვას თვალწინ, ძუძუები მოსჭრეს.

მოსკოვის ოლქის ზვენიგოროდის რაიონის სოფელ ბოროვკიდან ფაშისტებმა უკან დახევისას ძალით წაიყვანეს რამდენიმე ქალი; მიუხედავად მათი ხვეწნისა და პროტესტისა, ისინი მცირეწლოვან შვილებს დააშორეს.

ლენინგრადის ოლქის ქალ. ტიხვინ… [illegible]

გერმანელმა მეავტომატეებმა დღისით დახვრიტეს 48 კაცი. როსტოვის ცენტრალური ქუჩის ტროტუარზე ჰიტლერელმა მკვლელებმა დახვრიტეს 60 კაცი. სომხების სასაფლაოზე მოჰკლეს 200 კაცი. ჩვენი ჯარების მიერ როსტოვიდან განდევნილი გერმანელი გენერლები და ოფიცრები ხალხს აღარ იხსენიებდნენ, კიდევ დაბრუნდებით როსტოვში იმისათვის, რომ სისხლში ჩავახრჩოთ ქალაქის მოსახ… [illegible]

… [illegible]

… მეტი ადამიანი … ცხოვრება, ქალი და ბავშვი, … 7.000-მდე კაცი. … სისხლისმსმელობა … ფაშისტების მიმართ … მუშათა რაიონებში … სამმართველოს სახლთან …

შორის დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, და აცხადებს, რომ იგი გერმანიის ჯარების ამ არაადამიანური და ყაჩაღური მოქმედებისათვის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს გერმანიის დანაშაულებრივ ჰიტლერულ მთავრობას.

სსრ კავშირის მთავრობა, ამასთან ერთად, მტკიცედ დარწმუნებული აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმოადგენს ბრძოლას არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების უფლებათა და თავისუფლებისათვის, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის უფლებათა და თავისუფლებისათვის და რომ ეს ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ჰიტლერის ჯარების სრული განადგურებით და ჰიტლერის ტირანიაზე სრული გამარჯვებით.

მიიღეთ და სხვ.

ვ. მოლოტოვი".

მოსკოვი, 1942 წ. 6 იანვარი.

გეგმების შესრულება

… „კომუნისტის" კორ.). … ტრაქტორის რემონტის 1941 წლის IV … გეგმა … შესრულდა და … ტრაქტორი …

მუშაობდა ბრიგადის ბრიგადა. ნაყოფიერად მუშაობდნენ რემონტზე ტრაქტორისტები მაზანაშვილი, მარგიშვილი და სხვ.

მტს-ის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა 1 თებერვლამდე შეასრულონ.

ს. თვალჭრელიძე

* * *

… „კომუნისტის" კორ.). … ლობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმები.

დე გოლის მისალოცი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი ახალი წლის გამო

ახალი წლის გამო ჩემი სახელით და საფრანგეთის სახელით წარმატებას ვუსურვებ საბჭოთა არმიებსა და საბჭოთა ხალხს, რომლის მამაცობამაც გაფანტა მითი გერმანელთა უძლეველობის შესახებ და იმედით აღავსო ჩაგრულ ხალხთა გული. დაე, 1942 წელი გახდეს რუსეთის მიწა-წყლის განთავისუფლების წელი, იმ მიწა-წყლისა, რომლის ღირსებაც ასე უტიფრად იქნა შებღალული; დაე, ამ წელმა მოკავშირე ხალხებს მოუტანოს სრული გამარჯვება მტერზე, რომლის ბარბაროსული მოქმედებაც სამარცხვინო საქმეს წარმოადგენს კაცობრიობისათვის.

გენერალი დე გოლი.

ი. ბ. სტალინის საპასუხო დეპეშა გენერალ დე გოლისადმი

მადლობას გწირავთ, ბ-ნო გენერალო, გულითადი მოლოცვისათვის ახალი წლის გამო. უდიდეს წარმატებას გისურვებთ თქვენ, თქვენს ჯარებსა და ყველა თავისუფალ ფრანგს, რომლებიც გერმანელ და იტალიელ მძარცველთა წინააღმდეგ იბრძვიან თავისუფალი, დამოუკიდებელი საფრანგეთისათვის.

ი. სტალინი.

საბერძნეთის მეფე გეორგ II-ის მისალოცი დეპეშა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისადმი ახალი წლის გამო

გთხოვთ მიიღოთ ჩემი უაღრესად გულითადი მილოცვა თქვენი გმირი ჯარების განუწყვეტელ და სახელოვან გამარჯვებათა გამო. გულწრფელად ვისურვებ გამარჯვებით დამთავრებულიყოს მოკავშირეთა საქმე ამ ახალ წელს.

გეორგ II.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის საპასუხო დეპეშა საბერძნეთის მეფე გეორგ II-სადმი

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა თქვენი გულითადი მილოცვისათვის გერმანელ დამპყრობლებზე წითელი არმიის გამარჯვებათა გამო. რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენი საერთო მტერი საბოლოოდ განადგურებულ იქნება და დამოუკიდებელი საბერძნეთი აღორძინდება.

ი. სტალინი.

წითელი არმიის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წითელი არმიის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის ქვემოჩამოთვლილ პირთ მიენიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო წოდებანი:

სატანკო ჯარების გენერალ-მაიორისა

ბორის მიხეილის-ძე **კოროვკოვს.**

ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორისა

ქოსეფ იაკობის-ძე **კოტინს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 6 იანვარი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

მე-18, 258-ე მსროლელი დივიზიების, 31-ე ცხენოსანი დივიზიის, 29-ე, 71-ე მსროლელი ბრიგადებისა და მე-9 სატანკო ბრიგადის გვარდიის ნაწილებად გარდაქმნის შესახებ

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მრავალ ბრძოლაში მე-18, 258-ე მსროლელმა დივიზიებმა, 31-ე ცხენოსანმა დივიზიამ, 29-ე, 71-ე მსროლელმა ბრიგადებმა და მე-9 სატანკო ბრიგადამ სამაგალითო მამაცობა, გულადობა, დისციპლინა და ორგანიზებულობა გამოიჩინეს. ეს დივიზიები და ბრიგადები განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, უდიდესი ზარალი მიაყენეს ფაშისტთა ჯარებს, მოსპეს ათიათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს უდიდესი დავლა.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში გულადობის გამოჩენისათვის, მედგრობის, მამაცობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის აღნიშნული დივიზიები და ბრიგადები გარდაქმნილ არიან გვარდიის ნაწილებად, სახელდობრ:

1) მე-18 მსროლელი დივიზია გვარდიის მე-11 დივიზიად—დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი პ. ნ. ჩერნიშევი.

2) 258-ე მსროლელი დივიზია — გვარდიის მე-12 მსროლელ დივიზიად—დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი მ. ა. სიაზოვი.

3) 31-ე ცხენოსანი დივიზია გვარდიის მე-7 ცხენოსან დივიზიად—დივიზიის მეთაური პოდპოლკოვნიკი მ. დ. ბორისოვი.

4) 29-ე მსროლელი ბრიგადა გვარდიის 1-ლ მსროლელ ბრიგადად — ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი მ. ე. ეროხინი.

5) 71-ე მსროლელი ბრიგადა გვარდიის მე-2 მსროლელ ბრიგადად — ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ი. ვ. ბეზვერხოვი.

6) მე-9 სატანკო ბრიგადა—გვარდიის მე-2 სატანკო ბრიგადად—ბრიგადის მეთაური პოდპოლკოვნიკი ი. ფ. კირიჩენკო.

აღნიშნულ დივიზიებსა და ბრიგადებს ეძლევათ გვარდიის დროშები.

ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ცალკეულ პირს, რომლებმაც საახალწლო საჩუქრები გამოგვიგზავნეს

დასავლეთის ფრონტის მებრძოლნი, მეთაურნი და პოლიტმუშაკნი სულით და გულით მხურვალე მადლობას გიძღვნიან თქვენ ჩვენთვის გამოგზავნილი საახალწლო მილოცვისა და საჩუქრებისათვის.

თქვენი მილოცვა და საჩუქრები ჩვენ ისე მივიღეთ, როგორც თავისი მამაცი გმირი წითელი არმიისადმი მთელი ჩვენი დიდი ხალხის ძმური სიყვარულის გამოხატულება.

თქვენი გულითადი საახალწლო სალამის სიტყვები ახალ-ახალი გმირობისათვის აღგვაფრთოვანებენ, ისინი მოგვაგონებენ მოწოდებას — კიდევ უფრო მაგრად ვურტყათ ფაშისტ … [illegible]

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ჩვენ საქმეს არ შევარცხვენთ, შევასრულებთ წითელი მეომრის მოვალეობას, უკლებლივ მოვსპობთ ყველა ოკუპანტს. თქვენ კი წარმატებას გისურვებთ შრომის ფრონტზე. მხოლოდ ფრონტისა და ზურგის ერთსულოვანი ერთობლივი მეცადინეობით მოვსპობთ ჩვენ ჰიტლერის ყაჩაღურ ხროვას.

საბოლოო გამარჯვება ჩვენ იმიტომ დაგვრჩება, რომ ჩვენი ძალები აურაცხელია. ჩვენ სამართლიან საქმეს ვიცავთ, ჩვენი მფარველია უძლეველი … [illegible]

დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭო და პოლიტსამმართველო.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო კოლონები

ყოველ დღე საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე წარმოიშობა ახალ-ახალი წინადადებანი, რომლებიც მიმართული არიან მტრის განადგურებისაკენ. ჩელიაბინსკ-სამხრეთ ურალის რკინიგზის დეპოს მემანქანემ ამხ. აგაფონოვმა თავის მეწყვილესთან ერთად, დიდი სტალინის მოწოდების საპასუხოდ, წინადადება შეიტანა მოეწყოს საორთქლმავლო და საელმავლო დეპოებში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო კოლონები. ამ კოლონებში შეიძლება შეყვანილ იქნან ორთქლმავლები იმ ბრიგადებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს უნაკლო მუშაობით, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით და რომლებიც დაეუფლნენ შრომის მოწინავე სტახანოვურ-კრივონოსულ მეთოდებს, ლენინურ მუშაობას.

ჩელიაბინსკის დეპოს მემანქანეთა წინადადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა თბილისის მეორთქლმავლეთა და მეელმავლეთა შორის. აქ უკვე შეუდგნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო და საელმავლო კოლონების შედგენას. კოლონებში შეყვანილია პირველი საკ… კეთესო ორთქლმავლები და ელმავლები. თბილისის საორთქლმავლო დეპოში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო კოლონაში შეყვანილია უფროსი მემანქანეების ამხ. ცხენოსანიძის, გეჩნერის, ყიფიანისა და კოხრეიძის ორთქლმავლები, საელმავლო დეპოდან საელმავლო კოლონაში შეყვანის ღირსად ცნობილ იქნენ უფროსი მემანქანეების ამხ. ლუგოვოის, ტაბიძის, კოდუას, ხარიძის, როპიაკისა და ხიზანაშვილის ელმავლები. კოლონის მონაწილეებმა ახალი საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს. მემანქანეებმა ამხ. ლუგოვოიმ, კოდუამ და ტაბიძემ იკისრეს ვალდებულება თავიანთი ელმავლებით რემონტში დაუყენებლად 3 ათასი კილომეტრი გაიარონ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის კოლონების მოწყობას შეუდგნენ აგრეთვე რკინიგზის სხვა დეპოებიც. ყველგან გაჩაღებულია შეჯიბრება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო კოლონების მონაწილის უფლების მოპოვებისათვის. (საქტესი).

ორი მატარებელი-აბანო წითელი არმიის მეომრებისათვის

ლ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ სტალინის რკინიგზის სახელოსნოების მუშაკთა ინიციატივას წითელი არმიის მეომრებისათვის მატარებელ-აბანოების აგების შესახებ. გზის მუშაკებმა გადაწყვიტეს სტალინელთა მაგალითისამებრ საკუთარი ძალებით, სახელმწიფო სახსრების დაუხარჯავად, ააგონ მატარებელ-აბანოები.

ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე აგებულ იქნა 2 მატარებელ-აბანო. აბანოს ასაგებ ფონდში უკვე შემოვიდა პირველი შესატანი. სავაგონო უბნები ამთავრებენ ვაგონების შერჩევას. ბაქოს სავაგონო უბანმა გამოჰყო ორი ცისტერნი; თითო ვაგონი გამოჰყვეს კიროვაბადის, სამტრედიის, ბათუმის, თბილისის საშ. გზაერო და საქონლის სავაგონო უბნებმა და სხვ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ იკისრა ორი ვაგონის შეკეთება და მოწყობა. სავაგონო დარგის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ამთავრებენ ნახაზების შედგენას მატარებელ-აბანოების მოსაწყობად.

სავაგონო უბნების კოლექტივებმა, რომლებიც გამსჭვალული არიან პატრიოტული გრძნობით — დაეხმარონ წითელ არმიას მტრის განადგურებაში, გადაწყვიტეს თებერვალში გაგზავნონ ფრონტზე მატარებელ-აბანოები. (საქტესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 იანვრის დილის ცნობა

6 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

ჩვენმა ნაწილმა მტერთან გააფთრებული ბრძოლის შედეგად (დასავლეთის ფრონტი) დაიკავა რკინიგზის სადგური და ხელთ იგდო 200-ზე მეტი ვაგონი და 3 ორთქლმავალი, 1.500-მდე ავიაბომბი, დიდძალი ვაზნა და დახოცა მტრის 500 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მოქმედმა მფრინავებმა, მარჯვე საიერიშო თავდასხმების შედეგად, ცეცხლი გაუჩინეს გერმანელთა 3 ანგარს და ავიასახელოსნოებს, მოსპეს 5 ქვემეხი, დაამტვრიეს რკინიგზის 40 ვაგონი და დახოცეს 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

პოლიტხელ სახაროვს გარს შემოერტყნენ გერმანელი მეავტომატენი, რომლებსაც მან ბრძოლა გაუმართა და დახოცა 8 ფაშისტი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი; დანარჩენები თავზარდაცემულნი გაიქცნენ. წინანდელ ბრძოლებში ამხ. სახაროვმა 18 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო.

* * *

№ ჰოსპიტალში მიიყვანეს დონეცის მეშახტეთა პარტიზანული რაზმის მეთაური ამხ. ბ., რომელიც დაჭრილი იყო ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში. ამხ. ბ-ს დღიურიდან მოგვყავს მოკლე ამონაწერები პარტიზანული რაზმის ყველაზე უფრო დიდი საბრძოლო ოპერაციების შესახებ.

25 ნოემბერი. მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, ქალაქ მ-ს თეატრის შენობაში ღამის გასათევად 115 მოიერიშე დაბინავდაო. ღამით პარტიზანები ქალაქში შევიდნენ, ალყა შემოარტყეს თეატრს და უკლებლივ დახოცეს ფაშისტთა მთელი მთვრალი ბანდა. ქალაქის დატოვებისას მათ დახვრიტეს გერმანელი კომენდანტი.

29 ნოემბერი. ქალაქ მ-დან 9 კილომეტრზე ავყარეთ რკინიგზის ლიანდაგი და მოვსპეთ 12 ფაშისტი ჯარისკაცი და 6 ოფიცერი.

1. დეკემბერი. დილის 3 საათზე ავაფეთქეთ 12 ცისტერნი საწვავი. მცველები, 16 ჯარისკაცი, მთლიანად მოვსპეთ.

5 დეკემბერი. მივიღეთ უტყუარი ცნობები, რომ საღამოს 6 საათზე ს. პუნქტში არსებულ აეროდრომზე ფაშისტთა ორი საზვერავი თვითმფრინავი დაეშვა. საიმედო პირებმა გვაცნობეს, აეროდრომზე არავითარი შეიარაღებული მცველი რაზმი არ არისო. გავგზავნეთ მებრძოლთა ჯგუფი, რათა მოგვესპო ფაშისტები მანქანებიანად. მტერს რომ მოულოდნელად წავდგომოდით თავს, ასეთ ხერხს მივმართეთ: პარტიზანებმა წაიყვანეს საზიდარი ტარათურთ, ვითომდა საწვავი მიჰქონდათ თვითმფრინავებისათვის და დაუბრკოლებლად მივიდნენ აეროდრომზე, მოჰკლეს მფრინავები, დასწვეს მათი თვითმფრინავები, ხელთ იგდეს რევოლვერები და რუკები.

7 დეკემბერი. ჩვენ შეგვატყობინეს, გერმანელებმა სოფელ გ-ში ქეიფი გამართესო. მიპატიჟებას არ დაველოდეთ — თვითონ გამოვცხადდით ღამე. ფაშისტები ამ დროისათვის ყველანი მთვრალები იყვნენ, და ჩვენ იმათ ხოცვა-ჟლეტა მოვუწყეთ. ამ ღამეს დავხოცეთ 126 ფაშისტი, მათ შორის 3 ოფიცერი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 10 ავტომატი და დიდძალი საომარი მასალა.

12 დეკემბერი. ღამით თავს დავესხით სადგურ ი-ს. აქ გერმანელთა სამხედრო ეშელონი იდგა. მოვსპეთ 96 ფაშისტი, ავაფეთქეთ 2 ცისტერნი საწვავი და ხელთ ვიგდეთ 14 ტყვიამფრქვევი.

15 დეკემბერი. სოფელ პ-ში ფაშისტთა რაზმი მოვიდა. დაიწყო სოფლელთა ძარცვა. ღამით სოფელში შევიჭერით, მოვსპეთ გუშაგები და დავხოცეთ სამ ათეულზე მეტი გერმანელი.

24 დეკემბერი. შახტ ი-ში ავაფეთქეთ დინამიტის საწყობი.

25 დეკემბერი. შახტ ჩ-ში ავაფეთქეთ 170 ყუთი ვაზნა. საწყობის მცველი 7 ჯარისკაცი მოვსპეთ.

* * *

გერმანელი ფაშისტი მტარვალები საშინლად იგდებენ აბუჩად წითელი არმიის ტყვე მებრძოლებსა და მეთაურებს, შიმშილით ხოცავენ მათ. გერმანელთა 34-ე ქვეითი დივიზიის 88-ე პოლკის შტაბის № 202 ბრძანებაში, რომელიც ხელთ იგდეს ჩვენმა ნაწილებმა, ნათქვამია: „მწყობრიდან გამოსული ცხენები სპეციალურ პუნქტებში უნდა იქნას წაყვანილი. ცხენების ლეში საჭმელად იქნება გამოყენებული რუსი სამხედრო ტყვეებისათვის. ამგვარი პუნქტები მაჩვენებლებით აღინიშნება. ეს პუნქტები მოთავსებულია გზატკეცილის გასწვრივ მალოიაროსლავეცში და სოფელ რომანოვოსა და ბელოუსოვოში“. ამავე პოლკის შტაბის მეორე ბრძანება, რომლის სათაურია „ჩაცმულობის საქმის მდგომარეობა“, წინადადებას იძლევა „უყოყმანოდ გახადონ რუს სამხედრო ტყვეებს ფეხსაცმელი“.

* * *

მოკლულ გერმანელ ოფიცერს ევალდ ჰაიდერს აღმოაჩნდა ტილზიტელი გერტა ზამელის წერილი, რომელშიც იგი სწერს: „რა ბევრი გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა რუსეთის ველებზე! მათ შორის არიან ჩვენი მეტად მახლობელი ადამიანები. ჩვენი ქუჩის თითქმის ყოველ სახლში ვინმეს გლოვობენ“.

* * *

გერმანიის არმიისათვის თბილი ნივთების შეგროვება, რაც დეკემბრის დამლევს გამოცხადებული იყო გერმანიაში, ჩაიშალა. ბერლინში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ჩაბარების ვადები კიდევ 2 კვირით არის განგრძობილი. მოიერიშეთა რაზმები ქალაქებში საყოველთაო ჩხრეკას აწყობენ და მოსახლეობას ძალით ართმევენ ყველა თბილ ნივთს. პოლიცია და მოიერიშენი მამაკაცებსა და ქალებს იმასაც კი აიძულებენ, რომ გაიხადონ უკანასკნელი თბილი თეთრეული, წინდები, ფლანელის პერანგები, ხელთათმანები და შარფები.

* * *

ბერლინის რადიომ 6 იანვარს გადასცა მორიგი ბოდვა-ცნობა იმის შესახებ, რომ ვითომ გერმანიის ბომბდამშენები 4 იანვარს თავს დაესხნენ მოსკოვს და რომ ვითომ „რამდენიმე ბომბი პირდაპირ მოხვდა მთავარ ტელეგრაფს და ერთ ყაზარმას“. ყოველ მოსკოველს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ტელეგრაფს არავითარი „ბომბი არ მოხვედრია“. მოსკოვში არ დაზიანებულა აგრეთვე არც ერთი ყაზარმა. როგორც ეტყობა, ცუდად არის ჰიტლერელი შულერებისა და მატყუარების საქმე, თუ ისინი იძულებული არიან მიმართონ ამგვარ ტლანქ და სულელურ ზღაპრებს მოსკოვზე ფაშისტთა ავიაციის ვითომდა წარმატებითი თავდასხმების შესახებ.

7 იანვრის საღამოს ცნობა

7 იანვრის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტრის უკუგდებას დასავლეთისაკენ, კვლავ წაიწიეს წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალ. **მეშჩოვსკი.** ბრძოლების დროს მტერს მძიმე ზარალი მოუვიდა.

6 იანვარს მოსპობილ იქნა გერმანელთა 11 თვითმფრინავი. ჩვენ 2 თვითმფრინავი დავკარგეთ.

7 იანვარს მოსკოვთან საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

6 იანვარს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მოქმედმა ჩვენმა ავიანაწილმა მოსპო გერმანელთა 5 ტანკი, 170-მდე ავტომანქანა, ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ, 130-ზე მეტი საზიდარი საომარი მასალა, 5 ტრაქტორი, გაჰფანტა და ნაწილობრივ გაჟლიტა მტრის 5 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ქალ. ბოროვსკის აღებისას ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 1.200 ავტომანქანა, 40 ქვემეხი, 5 ტანკი, 60 ნაღმსატყორცნი, 44 ტყვიამფრქვევი, 35 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 17 ათასი ყუმბარა, 22 ათასი ნაღმი, 200 მოტოციკლი, 220 ველოსიპედი და ბევრი სხვა ღავლა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა მოწინააღმდეგესთან გააფთრებულ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 5 ტანკი, 4 ტყვიამფრქვევის ბუდე, 2 ქვემეხი და გაჟლიტა მტრის 500 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მზვერავებმა ცნობა მოიტანეს — ფრონტისაკენ მტრის 2 ბატალიონი მოდისო. ამხ. სუდაკოვის საარტილერიო დივიზიონი (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) მოწინავე პოზიციებზე დაწინაურდა და ცეცხლითი თავდასხმა მოახდინა მტრის კოლონებზე. გერმანელ ჯარისკაცთა უმრავლესობა გაჟლეტილ იქნა, დანარჩენები გაიფანტნენ.

* * *

ნ „ნაწილის ასეულს, რომელიც მოწინავე ხაზებისაკენ მიემართებოდა, თავს დაესხა 50 გერმანელი მეავტომატე. უმცროსი ლეიტენანტი სიმონოვსკი მარჯვედ გაუმკლავდა ფაშისტებს. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა 30 გვამი დასტოვეს გზაზე და გაიქცნენ.

* * *

ამხ. მ-ს პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც ლენინგრადის ოლქის გერმანელების მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, ააფეთქა 2 ხიდი, მოსპო ავტოსარემონტო ბაზა, გერმანელთა 219 ავტომანქანა, 9 ტრაქტორი, 5 საველე ქვემეხი, 4 საზენიტო ქვემეხი, ლიანდაგიდან გადააგდო სამხედრო ეშელონი საომარი მასალითურთ და გაჟლიტა 40-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მოკლულ გერმანელ ობერ-ეფრეიტორ ვალტერ ზეიბელს უპოვნეს წერილი, რომელსაც იგი ეფრეიტორ ფრიც კლაუგს უგზავნიდა ბერლინს: „აქ ჯოჯოხეთური სიცოცხლე—წერდა ზეიბელი. — რუსების ყოველდღიური იერიშები, რომლებშიც თვითმფრინავები და ტანკები იღებენ მონაწილეობას, არაქათს გვაცლიან. მერწმუნე, ყველაფერი, რაც აქ ხდება, ჩემს ძალებს აღემატება. ბევრს ნერვული შოკი დაემართა. ჩვენს ასეულში მხოლოდ 3 მეტყვიამფრქვევე დარჩა, დანარჩენი მოკლული და დაჭრილია. ხშირად ეკითხები თავს—როდის დადგება შენი ჯერითქო?“

* * *

ქვემოთ ვაქვეყნებთ აქტს არამზადა გერმანელ ფაშისტთა საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ, რაც მათ მოსკოვის ოლქის რუზის რაიონის სოფელ ვისოკოვოში ჩაიდინეს.

ა ქ ტ ი

„1941 წლის 18 დეკემბერს ჩვენ ქვემორე ხელის მომწერლებმა, პოლიტხელმა ა. დუნინმა, სერჟანტმა ს. სემხოვიჩმა, წითელარმიელებმა ს. კოვალმა და გ. არსენტიევმა მოსკოვის ოლქის რუზის რაიონის სოფელ ვისოკოვოს გარეუბანში ვიპოვნეთ მშვიდობიან მცხოვრებთა 14 გვამი. გულდასმითი კვლევა-ძიებისა და ადგილობრივ მოქალაქეთა დაკითხვის შემდეგ გამოირკვა შემდეგი: 1941 წლის 27 ნოემბერს, ღამით, უცნობმა გრანატი შეაგდო მოქალაქე პელაგია პავლოვას სახლში, სადაც გერმანელები იყვნენ. გრანატის ნამსხვრევებმა ერთი გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლა, მეორე კი დასჭრა. იმავე ღამეს ფაშისტები თავს დაესხნენ და დააპატიმრეს 12 მამაკაცი, 14 წლის მოზარდი ვ. დუხოვი, აგრეთვე პელაგია პავლოვა. დაპატიმრებულთ დიდ ხანს აწამებდნენ, სტანჯავდნენ და აწვალებდნენ, მერმე კი სოფლის გარეუბანში წაიყვანეს და ტყვიამფრქვევით დახვრიტეს. უდანაშაულოდ და წამებით დახოცილ მოქალაქეთა გვამები 3 კვირის განმავლობაში იყო თოვლში. ფაშისტებმა მოკლულთა დაკრძალვის ნება არ დართეს. რაზედაც შედგენილია ეს აქტი. პოლიტხელი ა. დუნინი, სერჟანტი ს. სემხოვიჩი, წითელარმიელები: ს. კოვალი და გ. არსენტიევი. აქტი ბეჭდის დასმით შეამოწმა ნევეროვსკის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ დმიტრიევმა“.

* * *

სწრაფად მიმდინარეობს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღდგენა ქალ. დონის როსტოვში და ოლქის რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელი ოკუპანტებისაგან. მუშაობა უკვე დაიწყო ასობით სახელმწიფო და კოოპერატიულმა საწარმომ. ამუშავებულია წყალსადენი, ელექტროგანათება, ტრამვაი, ტროლეიბუსი, გაიხსნა ბანკი, სავაჭრო საწარმოები, კინოები, თეატრები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, დაწყებითი და საშუალო სკოლები, სახელოსნო სკოლები. ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეებში და კოლმეურნე ქალები უმაგალითო აღფრთოვანებით აგროვებენ სათესლე ფონდებს, არემონტებენ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. მიმდინარეობს ტრაქტორისტებისა და კომბაინერების ახალი კადრების სწავლება; მათ შორის განსაკუთრებით ბევრია ახალგაზრდობა — ქალები და ვაჟები.

სამამულო ომის ფრონტებზე

მტრის წინააღმდეგობის კვანძებზე მიტანილი იერიშები

სამხრეთ - დასავლეთის ფრონტი, 6 იანვარი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ქვეითი ჯარის ნაწილები ტანკებთან, არტილერიასთან და ავიაციასთან ურთიერთმოქმედებით წარმატებით ავითარებენ შეტევით ოპერაციებს. გერმანელთა ცდები—წინააღმდეგობის ახალი კვანძები შექმნან ჩვენი ჯარების წინსვლის გზაზე მარცხით მთავრდება. წითელი არმიის მეომრები გარს ერტყმიან ამ წინააღმდეგობის კვანძებს, გარსუვლიან მტრის დაჯგუფებებს, თავს ესხმიან მათ ბრძოლას და მეთოდურად სპობენ.

ერთ-ერთმა ჩვენმა ნაწილმა სოფელ გ-ს რაიონში მტრის ორი დაჯგუფება მოსპო. გერმანელებმა აქ 200-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით, ხოლო სოფელ ს-ს რაიონში—150-მდე კაცი. ბრძოლის დროს მოსპობილ იქნა ფაშისტთა 3 ქვემეხი, 10 დაზგიანი ტყვიამფრქვევი, ხელთ ვიგდეთ საომარი მასალისა და სურსათის 7 საველე საწყობი.

აუცდენლად ურტყამდა ფაშისტებს მეორე უბანზე მოქმედი უმცროს მეთაურ ანდრიანოვის ოცეული. მან პირველმა წაიყვანა თავისი მებრძოლნი იერიშზე, შეიჭრა დასახლებულ პუნქტში და მოსპო მტრის არაერთი ათეული ჯარისკაცი. თითონ ამხ. ანდრიანოვი გამარჯვებული გამოვიდა ერთ-ერთ სახლში ჩასაფრებულ 4 ფაშისტთან ერთდროულად გამართულ შეტაკებაში. მამაცმა მეთაურმა სამი ბანდიტი მარჯვედ ნასროლი ტყვიით მოკლა, ხოლო ერთი ტყვედ წამოიყვანა.

ფრონტზე ფართოდ ცნობილი ხდება გმირობა, რომელიც გუშინ პოლიტხელმა ამხ. კორნიენკომ ჩაიდინა. ამხ. კორნიენკო, რომელიც თავისი ასეულის შემადგენლობაში მოქმედებდა, შენიშნა დიდი ბლინდაჟი, სადაც 45-მდე გერმანელი იმალებოდა. გაბედული პოლიტხელი, რომელიც ოსტატურად იმალებოდა თოვლით დაფარულ ხევებში და რომელიც თითოეულ ბორცვს ეფარებოდა, ფაშისტთა ბუდესთან მიცოცდა. მარჯვედ ნატყორცნი გრანატით მოსპო ტყვიამფრქვევი და მისი გუნდი. მერმე ამხ. კორნიენკო უფრო ახლო მიცოცდა და გრანატები დააყარა ბლინდაჟიდან გამოსასვლელს. შემდეგ კი ააფეთქა იგი. 45-ვე ფაშისტი ბლინდაჟში დაიმარხა. თვით ამხ. კორნიენკო გმირის სიკვდილით დაიღუპა. მებრძოლებმა, რომლების თვალწინაც მოხდა ეს გმირობა, ფიცი დასდეს სასტიკად ეძიათ შური ფაშისტებზე თავისი ამხანაგის სიკვდილისათვის. მათ შეასრულეს თავისი სიტყვა. წინააღმდეგობის კვანძი დაძლეულ იქნა. დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს ჰიტლერელ ბანდიტთაგან. გერმანელებმა ისე სწრაფად დაიხიეს უკან, რომ 20-მდე თავისი მეომრის გვამის აკრეფაც კი ვერ მოასწრეს.

ზ. ლიპავსკი.

ბრძოლა ბოროვსკთან

დასავლეთის ფრონტი, 4 იანვარი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ჩვენმა ჯარებმა ქალაქი ბოროვსკი დაიკავეს. გადმოგცემთ ბოროვსკთან გამართული ბრძოლების ზოგიერთ დაწვრილებით ცნობას.

ქალაქის მისადგომებთან სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა ორი დღე-ღამის განმავლობაში. განსაკუთრებით დაძაბული იყო 2 იანვარს გამართული ბრძოლა. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. მაშინ ჩვენმა ჯარებმა მოხერხებული მანევრით ყველა მხრიდან შემოუარეს ქალაქს. გერმანელებმა, რომლებიც ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ბლოკადის რკალისათვის, ყოველგვარი ზომა იხმარეს, რათა შეენარჩუნებინათ საომარი მასალის მისატანი და საევაკუაციო გზები. ამ მიზნით მათ გზებზე თავიანთი მეავტომატეთა ჯგუფები გამოუშვეს. ჩვენი ნაწილების საბრძოლო გუნდების თავზე მრავალი საათის განმავლობაში ზედიზედ გამოჩნდებოდნენ ხოლმე მტრის თვითმფრინავები სათითაოდ და ჯგუფ-ჯგუფად, რომლებიც ცდილობდნენ ჰაერიდან შეეჩერებინათ საბჭოთა მეომრების შეტევა.

ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ ქალაქს, სძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ განაპირა უბნებში შეიჭრნენ, ხოლო შემდეგ ქალაქის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები დაიკავეს. საღამოსათვის გააფთრებული ბრძოლა უკვე ქალაქის ცენტრის ქუჩებში გაჩაღდა. მტერი ქვიტკირის სახლებსა და სარდაფებში გამაგრდა. თითქმის ყოველ სახლს, ყოველ ქუჩას იერიშით ვიღებდით.

მრავალ საათს გაგრძელდა ბრძოლა ბოროვსკში, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. ქალაქის ქუჩები სავსეა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით, ავტომანქანებით, ქვემეხებით, მოტოციკლებით.

ბოროვსკში ყველგან მოსჩანს გერმანელ ოკუპანტთა თარეშის კვალი, მათ მიერ მხეცურად ნაწამებ საბჭოთა მოქალაქეების გვამები. ბოროვსკიდან გაქცევის დროს მტერს, როგორც სჩანს, უნდოდა წაეშალა თავის საზიზღარ ბოროტმოქმედებათა კვალი და ამიტომ ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. მხოლოდ საბჭოთა ჯარების მოსვლამ გადაარჩინა იგი სავსებით მოსპობას.

ბოროვსკის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში მამაცობა და გმირობა გამოიჩინა ბევრმა წითელარმიელმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა. წითელარმიელებს — სტეფანოვსა და ბოგდანოვს ნაბრძანები ჰქონდათ საკომანდო პუნქტში მიეტანათ ფოსტა. გზაში მათ გრიგალისებრი სროლა აუტეხეს გერმანელმა მეავტომატეებმა. წითელი არმიის სახელოვანმა მეომრებმა სროლის სექტორიდან გამოსვლა შესძლეს და მალე დაბრუნდნენ ამ ადგილას მებრძოლთა მცირე ჯგუფითურთ. ისინი შეუმჩნევლად მიეპარნენ გერმანელ მეავტომატეებს და გრანატები დააყარეს. ბრძოლის ველზე გერმანელთა 8 გვამი დარჩა. სტეფანოვმა და ბოგდანოვმა მტერს წაართვეს ხელის ტყვიამფრქვევი, 8 ავტომატი და სხვა იარაღი.

ბრწყინვალედ მოქმედებდა სატანკო ქვედანაყოფის მეთაური ამხ. დენისენკო. თავისი ტანკით მან მტრის სიმაგრეები გაიარა და გერმანელთა შიწურებთან მიიჭრა, გრანატები დააყარა და მოსპო 7 მიწური 60 გერმანელი ჯარისკაცითა და ოფიცრითურთ.

ი. ზრიბოვი.

აეროდრომის მექანიკოსი, სერჟანტი შ. გუგუშვილი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა გაზეთი „სტალინსკი სოკოლი“ მოგვითხრობს აეროდრომის სახელოვან მექანიკოს შოთა გუგუშვილზე. იგი მომსახურებას უწევს მანქანას, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში 61 საბრძოლო გაფრენა მოახდინა და რომელიც ზოგიერთ დღეს ექვსჯერ-შვიდჯერ ადის ჰაერში. შოთა გუგუშვილი თბილისელია, საავიაციო საქმე ორი წლის წინათ შეისწავლა. როგორც მრავალი საბჭოთა ახალგაზრდის, ისე მისი მგზნებარე ოცნება ბავშვობიდანვე გამსჭვალული იყო ფრენის ძლიერი სურვილით.

ავიაციის კარი მას გაუხსნა წითელმა არმიამ. 1941 წლის 14 ივლისს პირველი კატეგორიის მექანიკოსმა სერჟანტმა შოთა გუგუშვილმა დაამთავრა საავიაციო სასწავლებელი. თვის დამლევს იგი უკვე ფრონტზე იყო. ახალგაზრდა სპეციალისტი არაფრად აგდებდა საფრთხეს და, საველე აეროდრომზე მუშაობის სიძნელეთა მიუხედავად, ამზადებდა მანქანას გაფრენისათვის. იგი მალე შეეგუა მუშაობის რთულ პირობებს, მუშაობდა ენერგიულად, ენტუზიაზმით.

ერთხელ აეროდრომს თავს დაესხა 11 „მესერშმიტი“, უწესრიგოდ ჩამოყრილი ბომბებით მათ რამდენიმე თვითმფრინავი დააზიანეს. მაშინ მექანიკოსისათვის ღირსების საქმე გახდა საყვარელი მანქანების გადარჩენა. იმ თვითმფრინავის კაპოტი, რომელსაც გუგუშვილი უწევდა მომსახურებას, ოცგან იყო დაზიანებული. იგი მანქანას არ მოშორებია მანამდე, ვიდრე ეკიპაჟის მეთაურს არ მოახსენა, რომ მანქანა მზად არის საბრძოლო გაფრენისათვისო.

გუგუშვილს უყვარს მანქანა და ყოველთვის გატაცებით ასრულებს თავის მოვალეობას. მანქანა მისთვის ცოცხალი გულის მქონე ცოცხალი არსებაა, რომელსაც ყოველდღე სიფრთხილით უნდა მოვლა.

ვ. ყარა-მურზა

ლენინის ქალაქის მამაცი მცველები

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ნიკოლოზ ტიხონოვი გაზეთ „სტალინსკი სოკოლში“ გვიამბობს გმირ წითელ მფრინავებზე, რომლებიც ლენინგრადს პატრულობენ.

— ერთიან ოჯახში, — სწერს იგი,—როგორც ძმები, როგორც მებრძოლი მეგობრები ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის შვილები — მფრინავები ხარიტონოვი, გუბინი, ვორონცოვი, ეირიკოვი — რუსი შევარდნები; კრავჩენკო, გორდიენკო — უკრაინელი შევარდნები; ამ ესკადრილიის მეიარაღე ქართველი შაზოლაძე. ყველა ამ მეომართ ამოძრავებს სიყვარული სამშობლოსადმი და სიძულვილი მტრისადმი.

ფაშისტებმა კარგად შეიტყვეს, თუ რა არის ლენინგრადის საჰაერო პატრული. ერთხელ შვიდი „მესერშმიტი“ შეებრძოლა ჩვენს ორ შევარდენს და ვერ შესძლო მათი დამარცხება. წითელი მოიერიშე თვითმფრინავები თავისი ფრთებით იფარავენ გზებს, სპობენ მტრის მანქანებს საომარი მასალებითურთ, ქვემეხებს, ქვეითს ჯარს. დღითი დღე უფრო და უფრო გააფთრებით ბომბავენ ჩვენი არწივები მგლის ბუნაგებს.

მოსკოვი — ჩვენი სიამაყე, ჩვენი დედაქალაქი თავისუფალია. ლენინგრადის გზაც თავისუფალი იქნება.

ვ. ყარა-მურზა.

საახალწლო საჩუქრები წითელი არმიის მებრძოლებს

ბევრი ამანათი გაგზავნეს საქართველოს მშრომელებმა მოქმედ არმიაში საახალწლო საჩუქრებით.

არასრული ცნობებით, 30 დეკემბრისათვის ფრონტზე გაგზავნილია 30.800 ინდივიდუალური და კოლექტიური ამანათი.

ასპინძის რაიონის მშრომელებმა მებრძოლებს 248 ამანათით გაუგზავნეს თბილი ნივთები, ყველი, ხმელი ხილი, თამბაქოს ნაწარმი.

ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებმა მოქმედ არმიაში გაგზავნეს 160 ყუთი ერბო-კარაქი, ყველი, ხილი.

1.634 ამანათი გაუგზავნეს წითელი არმიის მებრძოლებს ბათუმის მშრომელებმა. 89.781 მანეთის საჩუქრები გაუგზავნეს ქუთაისის მშრომელებმა.

ქ. თბილისის სტალინის რაიონის მშრომელებმა გაგზავნეს ფრონტზე 485 ამანათი, ღირებული 91.134 მანეთად.

თვითეულ ამანათში ჩადებულია მისალოცი წერილი მოწოდებით შეუსვენებლად სდევნონ მტერი, დაუზოგავად ანადგურონ იგი.

მოქმედ არმიაში ამანათების გზავნა გრძელდება.

გეგმების შესრულება

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). რაიონმა თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა ვადამდე სამი თვით ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია რამდენიმე ასეული კილოგრამი თამბაქო.

ხ. ჟურაშვილი

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). მტს-მა ვადაზე ადრე შეასრულა ტრაქტორების რემონტის 1941 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა. გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს გამყრელიძისა და ღიბრაძის სატრაქტორო ბრიგადებმა.

ს. მერკვილაძე

[illegible]

რვა ჩამოხრჩობილი

(„პრავდის“ სპეციალური სამხედრო კორესპონდენტისაგან).

განთიადისას გენერალ მიხეილ კატუკოვის გვარდიელები ბრძოლით შეიჭრნენ ქალაქ ვოლოკოლამსკში. წინა ტანკი უცებ შეჩერდა მოედანზე. ეკიპაჟი მდუმარედ გამოვიდა მანქანიდან. ტელეგრაფის ბოძთან ძარიხაზე ჩამოკიდებული იყო რვა კაცი. გვარდიელებმა გადასჭრეს თოკები, გულის ტკივილითა და მრისხანებით შეპყრობილებმა ბრძოლის [illegible]

[illegible] დაც თავს უყრიდნენ დაჭრილ წითელარმიელებსაც და ვოლოკოლამსკის მცხოვრებლებსაც. ამ სახლს ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს, როდესაც ქალაქს სტოვებდნენ, იქ ცეცხლში დაიღუპნენ ასეულობით საბჭოთა ადამიანები. მაგრამ ისინი, რომლებიც გადაურჩნენ ცეცხლსაც და გერმანელთა ტყვეებსაც, ახლა იგონებენ ივანე ტიხონოვისა და მისი მეგობრების საშინელ და უკანასკნელ [illegible]

[illegible]

სდუმდა. თარჯიმანმა შესძახა: „იტყვით თუ არა?“ არავის ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია, ტიხონოვმა კი მაღლა ასწია თავი თითქოს გამოთხოვება სურს იმათთან, ვინც ზევით, საპყრობილედ ქცეულ ოთახში დარჩა.

ტიხონოვს კვლავ ჰკითხეს, თუ რა იცის მან პარტიზანების შესახებ, და თუ იტყვის, ცოცხალი დარჩება. ტიხონოვმა გაიმეორა ფრაზა, რომლითაც ნინა გამოეთხოვა სიცოცხლეს: „მშვიდობით, სამშობლოვ...“ ოფიცერმა მას გაარტყა, ხოლო ჯალათმა [illegible]

[illegible]

ოლ. კურგანოვი.

ვოლოკოლამსკი, 26 დეკემბერი. („პრავდა“).

„ავენაობის სკოლა"

გრიბოედოვის რუსული დრამის თეატრში

კომედია „ავენაობის სკოლა" ეკუთვნის ინგლისელ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს რიჩარდ ბრინსლი შერიდანს (1751-1816 წ.). ავტორი ამ კომედიაში გვაძლევს მის თანამედროვეთა — ლონდონელ არისტოკრატთა ყოფაცხოვრების მკვეთრ სურათს. შერიდანმა გულუხვად დააჯილდოვა თავისი გმირები ისეთი თვისებებით, როგორიც არის ფორიაქობა, ინტრიგანობა, პირმოთნეობა, მექრთამეობა, ანგარება, მფლანგველობა. ამ უარყოფით თვისებათა მატარებელი გმირები ისე ცოცხლად არიან დახატული პიესაში, რომ ჩრდილავენ დადებით მოქმედ პირებს. მოქმედ პირთა უმრავლესობა არც ფარავს თავის ამ უარყოფით თვისებებს და ამაყობს ამ თავისებურ „ავენაობის აკადემიის" წევრობით. „ავენაობის აკადემია, ანუ სკოლა"— ასე უწოდებდნენ ლედი სნირუელის სალონს, სადაც თავს იყრიდნენ არისტოკრატული წრეების წარმომადგენლები.

ცალკეულ მოქმედ პირთა ენამახვილ დახასიათებას შერიდანის პიესაში თან ახლავს მშვენივრად აგებული სცენიური მდგომარეობანი. კომედიური ინტრიგის გაშლისას ავტორი მოქმედ პირებს ახვედრებს ერთმანეთს მწვავე სცენიურ სიტუაციებში. პიესა დაწერილია ტრადიციული ინგლისური იუმორით: ადამიანი მოსწრებულად და ჭკვიანად ხუმრობს, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებს მშვიდ და სერიოზულ გამომეტყველებას.

„ავენაობის სკოლა" გრიბოედოვის თეატრში მიდის მოსკოვის სამხატვრო თეატრის რედაქციით, ე. ი. 14 მაგიერ 8 სურათად. ზოგიერთი სურათი დამდგმელს გადაუდგამს, შეუმოკლებია. კარგი იქნებოდა არ შევეცირებინა თვით „ავენაობის აკადემიის" სცენა, რადგან ამის გამო შესუსტდა პიესის ცენტრალური იდეა და კავშირი ცალკეულ სიუჟეტურ ხაზებს შორის.

დამდგმელმა-რეჟისორმა გ. ტოვსტონოგოვმა და შემსრულებლებმა კარგად გახსნეს პიესა და მიიტანეს მაყურებლამდე მისი შინაარსი, შექმნეს მისი გმირების დამაჯერებელი სცენიური სახეები.

ინტრიგის ძირითადი ელემენტები ორი პიროვნების გარშემოა თავმოყრილი. ესენია ძმები ჯოზეფ და ჩარლზ სერფესი. ორივე როლს საუცხოო შემსრულებლები ჰყავს ი. ბოდროვისა და დ. ივანოვის სახით. ჯოზეფს ი. ბოდროვი ასრულებს, როგორც ჭკვიან და მოხერხებულ მატყუარას, რომლის დანაშაულება არც ისე ადვილი გამოსაცნობია. დ. ივანოვის ჩარლზი მოკლებული არ არის მომხიბვლელობას და ეს კანონზომიერია, რადგან ჩარლზი თუმცა მოქეიფეა, მაგრამ კარგი ყმაწვილია. ბ. ვიაზემსკიმ მოსძებნა საჭირო საღებავები, რომ ეჩვენებინა სერ პიტერ ტიზლის გულკეთილობა და მიამიტობა. მაგრამ მის შესრულებაში ტიზლი არ გავს ინგლისელს: მსახიობმა თავიდან ვერ აიცილა წმინდა რუსული ინტონაციები. ეს ნაკლი ზოგიერთ სხვა მსახიობსაც ახასიათებს.

ტიზლის ახალგაზრდა ცოლს თამაშობს ლ. ვრუბლევსკაია. მისი შესრულებით ლედი ტიზლ ქარაფშუტა, თუმცა გულკეთილი, შეურყვნელი ადამიანია. ნიჭიერმა მსახიობმა, რომლის ტემპერამენტი ხშირად იტაცებს მაყურებელს, ამ პიესაში გვიჩვენა კომედიური დიალოგის შესრულების ოსტატობა. ლედი სნირუელის როლი კარგად შეასრულა ე. კოვალსკაიამ. იგი დამაჯერებლად გადმოგვცემს „ავენაობის აკადემიის" დიასახლისის თავშეკავებულ გაბოროტებას. კარგი იქნებოდა, მსახიობი რომ უფრო რბილი იყოს სხვა პერსონაჟებთან დამოკიდებულებაში. მსახიობმა ნ. რემერმა ვერ შესძლო მარიას როლის უფერულობის დაძლევა.

სპექტაკლში არა მარტო წამყვანი პერსონაჟები, არამედ ეპიზოდიური სახეებიც დიდი დამაჯერებლობით არის გამოკვეთილი, რაც მოწმობს რეჟისორისა და მსახიობების გულდასმით მუშაობას. ი. შტენბერგის დეკორაციები და კოსტიუმები გამოირჩევა მდიდარი ფერებითა და ისტორიული სიმართლით. სპექტაკლი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და მაყურებლის დიდი ყურადღებით სარგებლობს.

ა. ფევრალსკი.

საგაზაფხულო თესვას ბოლშევიკური შეხვედრა

ხაშური („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში საბრძოლო დავალებად მიიღეს დიდი **სტალინის** მოწოდება კოლმეურნეებისადმი — თავდადებით იშრომონ თავიანთ მინდვრებში და სულ უფრო და უფრო მეტი სურსათი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული მისცენ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას. რაიონში შეკეთეს 250-მდე გუთანი, ხოლო დანარჩენი გუთნების შეკეთება მთავრდება. დასასრულს უახლოვდება ურმებისა და ფარცხების შეკეთებაც. კოლმეურნეობებში დამატებით შეძენილია 15 ახალი გუთანი. ხაშურის მტს-ს, ნაცვლად 19-ისა, ვადამდე შეკეთებული აქვს 21 ტრაქტორი, ახლად მომზადებულია ხორბლის 16 და შაქრის ჭარხლის 12 სათესი.

რაიონი უზრუნველყოფილია ხორბლის, სიმინდის, ლობიოს, შაქრის ჭარხლის და სხვა თესლით. მიმდინარეობს კარტოფილის თესლის შეძენა. კოლმეურნეობებში თითქმის განუწყვეტლივ მუშაობს 16 ტრიერი, უკვე დაყვანილია კონდიციამდე და რაიონული ლაბორატორიის მიერ ცნობილია ვარგისად ხორბლის, სიმინდისა და ლობიოს 1000-ზე მეტი ცენტნერი თესლი.

მაგრამ ეს წარმატებები როდი ნიშნავს თითქოს რაიონში ყველგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს. სურამის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. ლომიძე) ჯერ თესლის გაწმენდაც არ დაუწყია. თესლის მომზადებაში ჩამორჩნენ აგრეთვე სოფ. წაბლოვანის კოლმეურნეობა „გლეხის ნუგეში" (თავმჯდომარე ვ. გელაშვილი), სოფ. ქიმბრის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი" და სხვ. მეტიც — სოფ. თავვეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას, აგრეთვე სოფ. აზარმის კოლმეურნეობა „წითელ გლეხს" და სხვ. რაიონული ცენტრიდან არც კი წაუღიათ 3 თვის წინათ მიღებული 14 ტრიერი და სათბურის 300-მდე ჩარჩო.

ჩამორჩენას ადგილი აქვს მუშა-პირუტყვის მოვლისა და ფართობებში ნაკელის გატანის საქმეშიც. სოფ. ალის, ქიმბრის, წაბლოვანის და სხვა კოლმეურნეობებში გაძლიერებულ კვებას მოითხოვს 50-მდე უღელი ხარი. სოფ. ქვიშხეთის, ნაბახტევის და სხვ. კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ნაკელის, ნაცრის და სხვა ადგილობრივი სასუქების დაგროვება-გამოყენებას.

ტრ. თოდრაძე

დამფრთხალი თურქი ჟურნალისტი

დამფრთხალ ყვავს ბუჩქისა ეშინია. იგი მხდალად ყრანტალებს და ცდილობს სხვებიც დააშინოს. ყოველი მხდალი ყვავი სულელია, ხოლო როდესაც იგი თან დამრიგებლის როლს კისრულობს, იგი სასაცილოც არის.

დამფრთხალი ყვავები ბევრ ადგილას იცის. თურქეთში ერთი ასეთი ყვავი შიშისაგან თრთის გაზეთ „ულუსში". მას ჟურნალისტ ათაის ეძახიან. იგი ერთხელ საშინლად დააფრთხეს ფაშისტმა ბანდიტებმა. მას შემდეგ იგი ცდილობს დააშინოს თურქი მკითხველები.

იგი მხოლოდ ყრანტალებს.

— საშიშარრრია! ტევრრრრია! ყრრრრუ ტყეა!

ნამდვილად კი ეს არც ტევრია და არც ყრუ ტყე,—ეს მხოლოდ გერმანული ბუჩქია.

ათაი იმ თურქ ჟურნალისტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ომის დასაწყისში ჰქმნიდნენ თავის ქვეყანაში მითს გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ და ხატავდნენ ჰიტლერს, როგორც საშიშ ეშმაკს. ათაი სხვებზე უფრო მეტად ხატავდა და თვითონვე ყველაზე მეტად დაფრთხა თავისი ნაწარმოების წინაშე. იგი დღემდე თრთოდა.

მაგრამ მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა. წითელმა არმიამ გაფანტა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. მსოფლიომ დაინახა ჰიტლერის „ნაქები" დივიზიების არა მარტო უკანდახევა, არამედ გაქცევაც, დაინახა ტილაჯობისაგან დაბლა დაშვებული შეჯავშნული ფაშისტური მუწუკი. ბევრი თურქი ჟურნალისტი გათამამდა. ისინი დარწმუნდნენ იმაში, რომ „ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც მას გვიხატავდნენ". მარტო მხდალი ათაი დღემდე თრთის ცხერის გუდივით.

ისიც ხედავს, რომ გერმანიის „უძლეველი" არმია უკან იხევს მოსკოვიდან და სხვა საბჭოთა ქალაქებიდან და სცლის დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიას. თითქოს შეიძლებოდა, რომ დამფრთხალი თურქი ჟურნალისტი გონს მოსულიყო. მაგრამ ათაის ვერ მოუშორებია თავისი შიში. იგი წინანდებურად თრთის და გერმანელი ფაშისტი მძღაბნელების ქვალზე სწერს: „სავსებით უეჭველია, რომ გერმანელები, რომლებმაც მოსკოვამდე მიაღწიეს, ახლა უკან იხევენ არა სამხედრო განადგურების შედეგად. ისინი თავს იყრიან ზამთრის გასატარებელ ადგილებში. ამიტომ იბრუნებენ რუსები ქალაქებსა და დაბებს".

ამ ათაის რომ ეკითხოთ, გამოდის, რომ გერმანელები ჯერ უდიდესი დანაკლისით იპყრობდნენ საბჭოთა ქალაქებსა და დაბებს სწორედ იმისათვის, რომ იქ ზამთარი გაეტარებინათ. შემდეგ კი უცებ, ისე, რომ არავითარი სამხედრო განადგურება არ განუცდიათ, გამოურკვეველია რატომ, იწყეს წასვლა ამ ქალაქებიდან და დაბებიდან, რათა „თავი მოეყარათ" სხვა ადგილებში და ზამთარი გაეტარათ მაინც და მაინც გაშლილ მინდორში. რა მოულოდნელი მგზნებარე სიყვარულია რუსეთის ყინვებისადმი!

გერმანელ ფაშისტ მძღაბნელებს შეეფერის აშკარა ფაშისტური ლაყბობა,—მათ სხვა რამე არაა დარჩენიათ, რომ დამალონ გერმანიის არმიის სერიოზული დამარცხება ომში. გერმანიის ჯარები საჩქაროდ უკან იხევენ, თოფს ქვეყნებენ, ტანკებს ჰკარგავენ. გერმანელ ჟურნალისტები პანიკური უკან დახევის დროს სალი გონების უკანასკნელ ნაშთებს ჰკარგავენ. მაგრამ ათაი რატომღა გარბის შიშით მოცული ამ გერმანელი ჟურნალისტების ქვალზე? რისთვის აყენებს თურქი ჟურნალისტი თავის თავს სასაცილო მდგომარეობაში და თრთის ყოველი გერმანელი ჯარისკაცის წინაშე,—მაშინაც კი, როდესაც ეს ჯარისკაცი (ცდილობს ტყავი გადაირჩინოს, ქვემეხებსა და ტანკებს გზაში ჰყრის და თვითონ დამფრთხალი გარბის...

სიმხდალე არასოდეს არ ყოფილა თურქი ხალხის თვისება. პირიქით, თურქებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავის ისტორიაში შესანიშნავი სიმამაცე. მაგრამ, ეტყობა, არ არის ისეთი ოჯახი, რომ ერთი მახინჯი არ ჰყავდეს. მხოლოდ უცნაურია, რომ თურქული პრესის ოჯახში გამორეული მხდალი მახინჯი არ იწვევს იმ პრესის მხრივ იმ გულწრფელ სიცილს, რომლის ღირსიც არის ყოველი ადამიანი, ვისაც მხდალი კურდღლის გული აქვს.

ბატონი ათაი კურდღელივით მხდალია. ამასთან იგი კატასავით ურცხვია. იგი იძულებულია აღიაროს, რომ ფაშისტურმა გერმანიამ მარცხი განიცადა, მაგრამ იგი ფაშისტური გერმანიის გულის მოსაგებად სწერს: „ამას კიდევ უნდა დავძინოთ, რომ ევროპის ყველა ქვეყნები და კლასები, რომლებსაც კომუნიზმისა ეშინიათ, გერმანიის მხარეზე დარჩებიან აღმოსავლეთის ლაშქრობის დამთავრებამდე".

ნაცნობი სიტყვები! ცნობილია, რომ ჰიტლერი ცდილობდა დაეშინებინა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მმართველი წრეები რევოლუციის აჩრდილით. ამისათვის აცოფებდა ჰიტლერი თავის ყბადაღებულ „ჯვაროსნულ ლაშქრობას" ბოლშევიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ეს „ჯვაროსნული ლაშქრობა" სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ჰიტლერმა ევროპასა და ამერიკაში ვერავითარი „კლასები" და ვერავითარი „ქვეყნები" ვერ დააშინა.

ეს რა „ყველა ქვეყნები და კლასები" შეამჩნია ათაიმ ევროპაში და „გერმანიის მხარეზე" დაინახა თავისი შორეული თურქეთიდან! დამფრთხალმა თურქმა ჟურნალისტმა „ყველა ქვეყანა" დაინახა და ევროპაში ისეთი „მცირეოდენი" რამ ვერ შეამჩნია, როგორიც არის ინგლისი. ეს უკანასკნელი ყოველ შემთხვევაში არ არის გერმანიის მხარეზე! მაგრამ ათაიმ წაშალა ეს ქვეყანა ევროპის გეოგრაფიულ რუკაზე! ხომ არ იყენებს თურქი ჟურნალისტი ევროპის რუკის გერმანულ გამოცემას, სადაც ინგლისი გამოხატულია როგორც „ლიმიტროფი", როგორც პაწაწკინტელა, უბადრუკი სახელმწიფო? საიდან გაუჩნდა ესოდენ კომიკური ქედმაღლური დამოკიდებულება ინგლისისადმი მხდალ თურქ ჟურნალისტს, რომელსაც ჰგონია, ფაშისტურ კატაზე უფრო ღონიერი მხეცი ქვეყანაზე არ არისო?

„ყველა კლასები" ინგლისში ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ გამოდიან და საბჭოთა კავშირის მხარეზე არიან. ასევე გამოდის ყველა კლასები ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ჰიტლერის მიერ დაპყრობილ საფრანგეთშიც ყველა კლასები გამსჭვალული არიან შეურიგებელი სიძულვილით ჰიტლერისადმი, უდიდესი თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას და მიესალმებიან წითელი არმიის გამარჯვებებს. ფაშისტური გერმანიის მხარეზე არიან მხოლოდ ერთი მუჭა გამცემლები, რომლებიც ათაიზე ნაკლებად არ დამფრთხალან. ასეთია საქმის ვითარება გერმანიის მიერ დაპყრობილ ყველა სხვა ქვეყნებშიც, და თვით გერმანიაშიც კი ყველა კლასები როდი არიან ჰიტლერის მხარეზე. სწორედ ამიტომ ევროპა წარმოადგენს მრისხანე ვულკანს, რომელიც მზად არის ამოხეთქოს. ამას ვერ ხედავენ მხოლოდ თავისთავზე შეყვარებული ჰიტლერული ბრიყვები გერმანიაში და თურქეთის ერთი დამფრთხალი ჟურნალისტი, რომელიც მათ ეღაღუნება.

სიმხდალე არასოდეს არ ამშვენებდა ადამიანს. ჟურნალისტ ათაის სიმხდალემ ტაკიმასხარის ჩაჩი დაჰხურა.

დ. ზასლავსკი.

(„პრავდა", 25/XII).

უცხოეთის პრესა წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციების შესახებ

ნიუ-იორკი, 6 იანვარი (საქტესი). ამერიკის პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარებს ცნობას წითელი არმიის წარმატებითი შეტევითი ოპერაციების შესახებ. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" ეხება წითელი არმიის მიერ ფეოდოსიისა და ქერჩის დაკავებას და სწერს, რომ რუსებმა წარმატებებს მიაღწიეს იქ, სადაც გერმანელებმა წარმატების მიღწევა ვერ შესძლეს, ვინაიდან მათ ვერ მოახერხეს ქერჩის სრუტის გადალახვა. თუ რუსები გერმანელებს ყირიმიდან განდევნიან,—აცხადებს გაზეთი,—ეს უდიდესი მნიშვნელობის ახალი გამარჯვება იქნება.

გაზეთი „ტაიმს სტარი" სწერს, რომ ყირიმში წითელი არმიის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ომის მიმდინარეობისათვის. ოქტომბერსა და ნოემბერში ჰიტლერი ცდილობდა გადამწყვეტი ლახვარი ჩაეცა რუსებისათვის, მაგრამ ეს ცდა ჩაიშალა. ამბები, რაც ყირიმის აღმოსავლეთ ნაწილში დატრიალდა, სადაც რუსებმა დესანტი გადასხეს, იმას მოწმობს, რომ გერმანიის არმიამ მეტად ბევრი ძალები დაჰკარგა. საბჭოთა ჯარების მიერ ქერჩისა და ფეოდოსიის აღება იმედს გვაძლევს, რომ ნაცისტები განდევნილი იქნებიან ყირიმიდან.

გაზეთი „კონსტიტიუშენი", რომელიც ატლანტაში გამოდის, სწერს, რომ წითელი არმიის ნაწილების მიერ ქერჩისა და ფეოდოსიის დაკავება რუსების ერთ-ერთ უბრწყინვალეს მიღწევას წარმოადგენს ახლანდელ კამპანიაში, ვინაიდან ასეთ პირობებში სადესანტო ოპერაცია მაღალკვალიფიციური ტაქტიკური ხერხების გამოყენებას მოითხოვს. ყირიმში წითელი არმიის გამარჯვება იმას გვიჩვენებს, რომ რუსების წარმატებათა მიზეზი ზამთარი როდია. რუსების შეტევა იმას მოწმობს, რომ გერმანელებმა ვერ შესძლეს „ელვისებური" დარტყმით შეესუსტებინათ წითელი არმიის დამკვრელი ძალა და რომ კარგად მომზადებული ჯარისკაცები ჯერ კიდევ რჩებიან საომარი ოპერაციების ძირითად ელემენტად. ის ზარალი, რომელიც წითელმა არმიამ გერმანიის არმიის გაწვრთნილ კადრებს და მათ მორალურ მდგომარეობას მიაყენა, ღრმა კვალს დააჩნევს ომის მთელ შემდგომ მიმდინარეობას.

გაზეთი „იუნიონი" (მასაჩუზეტსის შტატი) ანალიზს უკეთებს ომის მიმდინარეობას და აცხადებს, რომ სახელმწიფოთა ანტიჰიტლერული კოალიციის მთავარ მოწინააღმდეგეს გერმანია წარმოადგენს. გერმანიის ძირითადი ფრონტი და ძირითადი ძალები თავმოყრილია რუსეთში, სადაც ნაცისტები უკან იხევენ და დიდი ზარალი მოსდით ადამიანებისა და მასალების სახით. გერმანელთა მდგომარეობა იმდენად სერიოზული გახდა, რომ ბერლინი იძულებულია გამუდმებით აფრთხილოს მოსახლეობა, რათა მან მალე გამარჯვების იმედი არ იქონიოს. ამბების შედეგობამ დაგვანახვა, რომ რუსეთს უდიდესი რესურსები მოეპოვება და რომ გერმანიამ ვერ შეაფასა წითელი არმიის საბრძოლო თვისება.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" რედაქტორი ჯაიმსი სწერს: იმის მიუხედავად, რომ ამერიკელები განსაკუთრებით არიან დაინტერესებული წყნარი ოკეანის ამბებით, უნდა გვახსოვდეს, რომ ახლანდელ ომში ბრძოლის უდიდეს ველს წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი, რომელზედაც წითელი არმია კარგად იბრძვის. საბჭოთა კავშირის მიერ ჰიტლერის გერმანიის განადგურება მნიშვნელოვნად შეცვლიდა ომის პერსპექტივებს. წითელი არმია, რომელიც მილიონობით გერმანელ ჯარისკაცს ჰბოჭავს, დიდ დახმარებას უწევს ყველა სხვა ქვეყნების ბრძოლას ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ. რუსების შეტევა,—განაგრძობს ჯაიმსი,—სერიოზულად აფიქრებს გერმანელებს. მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა თავისი თავი გერმანიის არმიის მთავარსარდლად დანიშნა, გერმანელები საშინლად დამარცხდნენ ყირიმში, მოსკოვის მისადგომებთან და მნიშვნელოვანი პოზიციები დაჰკარგეს ლენინგრადთან.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი თავის სტატიაში იმ დასკვნამდე მიდის, რომ გერმანელებმა რუსეთთან ომში ინიციატივა დაჰკარგეს.

ამერიკის ყველა რადიოკომენტატორი აღნიშნავს კონტრასტს გერმანიის პროპაგანდის წინანდელ მკვეხარა განცხადებებსა და მის ახლანდელ განცხადებათა პესიმისტურ ტონს შორის. გერმანიის პროპაგანდა,—აღნიშნავენ რადიოკომენტატორები,—უკვე აღარა ჰპირდება გერმანელებს სწრაფ გამარჯვებას რუსეთზე; პირიქით, ყოველნაირად ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ 1942 წელს კიდევ უფრო მძიმე და შეუპოვარი ბრძოლა მოელით.

ამერიკის ხალხის ყველა ფენა უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს წითელი არმიის შეტევითი ოპერაციების მიმდინარეობას. კინოებში წითელარმიელებისა და მეთაურების გამოჩენა ეკრანზე მუდამ მქუხარე ოვაციებსა და მეგობრულ შეძახილებს იწვევს სსრ კავშირის პატივსაცემად.

სტოკჰოლმი, 6 იანვარი (საქტესი). შვეციის ბევრი გაზეთი კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ცნობებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მთელ რიგ უბნებზე წითელი არმიის ნაწილების წარმატებითი წინსვლის შესახებ. გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი" მიმოხილვაში სათაურით „კრიზისი აღმოსავლეთის ფრონტზე", სწერს: არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ გერმანელები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამას თვით გერმანელებიც არ უარჰყოფენ. კრიზისის მიზეზი ის არის, რომ გერმანელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს რუსების სამხედრო რესურსები, რუსეთის სამხედრო აპარატის ძლიერება და საბჭოთა წყობილების სიმტკიცე, აგრეთვე საბჭოთა ჯარების გამარჯვების განსაკუთრებული ნებისყოფა, რაც წარუმატებლობის დღეებშიაც კი იჩენდა თავს. კრიზისის მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე ის სიძნელეები, რომლებსაც გერმანელები განიცდიან ჯარების მომარაგების ორგანიზაციისა და კომუნიკაციების დაცვის საქმეში, რუსეთის სუსხიანი ჰავა და ბოლოს, ძალიან დიდი ზარალი, რაც გერმანელებმა უდავოდ ნახეს მოსკოვის მისადგომებთან წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის პერიოდში. ყოველივე ამან შეასუსტა და გასტეხა გერმანიის არმიის შეტევითი ძალა. რუსებმა სწორედ შესაფერ დროს გამოიყენეს ბრძოლაში კარგად ეკიპირებული დივიზიები. რუსებს მრავალრიცხოვანი კავალერია ჰყავთ, რომელიც თავისუფლად მოქმედებს ზამთრის პირობებში.

ნიუ-იორკი, 6 იანვარი (საქტესი). ურუგვაის მთელი პრესა მსხვილი სათაურებით და თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ცნობებს წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ. გაზეთი „ელ პაისი" სწერს: ნაცისტთა არმიებმა, რომლებიც დღემდე უძლეველად გვეჩვენებოდა, პირველი დიდი დამარცხება განიცადეს რუსეთის ფრონტზე. რუსმა ხალხმა, რომელმაც ცხადჰყო წინააღმდეგობის განსაცვიფრებელი ძალა, მთელი რიგი დროებითი წარუმატებლობის მიუხედავად, შესძლო შეტევაზე გადასვლა.

ომი წყნარ ოკეანეში

6 იანვრის დეპეშების მიმოხილვა

ფილიპინებზე. ლუსონის კუნძულზე ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარები იძულებული იყვნენ ბრძოლით უკან დაეხიათ ახალ პოზიციებზე მანილის ჩრდილოეთით მდებარე მთიან რაიონში. იაპონელთა ჯარებმა პირველი დიდი ფრონტული იერიში მიიტანეს გენერალ მაკარტურის გაერთიანებულ ძალთა წინააღმდეგ, მაგრამ ფრიად სერიოზული დამარცხება განიცადეს. იაპონელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უდიდესი ზარალი მოუვიდათ. ახლადდაკავებული თავდაცვითი ზღუდეები ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარებს დიდ უპირატესობას ანიჭებს, რადგან მანილის ჩრდილოეთით მდებარე მთიან რაიონს ამერიკის შეიარაღებული ძალები უკვე რამდენიმე წელია საზაფხულო ბანაკების ბაზად იყენებენ.

იაპონელთა ავიაცია განაგრძობს თავდასხმას კორეგიდორის სიმაგრესა და მანილის უბეზე. გარდა ამისა, იაპონელთა ავიაცია ბომბავს ამერიკელთა თავმოყრილ ჯარებს ბატაანის ნახევარკუნძულზე. დაბომბეს ამერიკელთა საბარგულების კოლონა, აგრეთვე რამდენიმე გემი ნახევარკუნძულის სანაპიროსთან.

ჰავაის კუნძულების რაიონში არავითარი ოპერაციები არ სწარმოებს.

მალაიაში. ინგლისელთა ჯარებმა პერაკში კვლავ დაიხიეს რამდენადმე სამხრეთისაკენ, რათა თავიდან აეცილონ საფრთხე მარცხენა ფრთას. პაჰანგში ინგლისელთა ჯარები გაეცალნენ ქუანტანის რაიონს. უკანასკნელი ცნობებით მალაიაში იაპონელებმა ახალი დესანტები გადასხეს, რომლებმაც ქალაქ ქუალა-სელანგორის მიდამოებსა და მდინარე აბტაიტის შესართავს მიაღწიეს, 35 მილზე ქუალა-ლუმპურის ჩრდილო-დასავლეთით.

იაპონელთა ავიაცია 5 იანვარს, ღამით, თავს დაესხა სინგაპურს და ერთ აეროდრომზე ნგრევა გამოიწვია. იაპონელთა თვითმფრინავების მეორე ჯგუფმა იერიში მიიტანა ჯოხორის ზოგიერთ ობიექტზე და უმნიშვნელო ნგრევა გამოიწვია. ინგლისელთა საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო იაპონელთა ერთი თვითმფრინავი, მეორე კი დააზიანა.

ინგლისის პრესა, კერძოდ, გაზეთი „დეილი მეილი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შესაძლებელია იაპონელები თავს დაესხან სინგაპურს ზღვიდან.

7 იანვარი (საქტესი).

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 7 იანვარი (საქტესი). ა. შ. შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ, დამატებითი ცნობებით, ამერიკის ბომბდამშენებმა, რომლებმაც იერიში მიიტანეს იაპონიის გემებზე მინდანაოს კუნძულის (ფილიპინები) მახლობლად, მეტი ზარალი მიაყენეს მათ, ვიდრე თავდაპირველად ვიუწყებოდით. ამ რაიონში იაპონელთა ფლოტში შედიოდა ერთი სახაზო გემი, 5 კრეისერი, 6 ნაღმოსანი, 12 წყალქვეშა ნავი და 12 ტრანსპორტი. როგორც წინათ აღვნიშნავდით, სამჯერ პირდაპირ მოხვდა სახაზო გემს. გარდა ამისა, ჩაძირულია ერთი ნაღმოსანი. რამდენჯერმე პირდაპირ მოხვდა სხვა გემებსაც, რის შედეგადაც, როგორც ჰფიქრობენ, გემები მნიშვნელოვნად დაზიანდნენ.

ლუსონის კუნძულზე ბრძოლა მანილის უბის რაიონში სწარმოებს. გუშინ იაპონელთა თვითმფრინავებმა კვლავ ძლიერ დაბომბეს ამ რაიონის სიმაგრენი, მათ შორის კორეგიდორის კუნძული და მარიველესის ბაზა. დაბომბვა 4 საათს გრძელდებოდა. მასში 50 თვითმფრინავი მონაწილეობდა. მატერიალური ნგრევა და მსხვერპლი უმნიშვნელოა. საზენიტო არტილერიამ მტერს დაუზიანა სულ ცოტა 7 თვითმფრინავი.

სახმელეთო ოპერაციებს უფრო ნაკლები აქტიური ხასიათი აქვს, ვიდრე წინა დღეებში. იაპონელთა ჯარები კვლავ აწვებიან ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარების ყველა მოწინავე პოზიციას. სხვა რაიონებში არსებითი ოპერაციები არ სწარმოებს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 7 იანვარი (საქტესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 6 იანვარს ჩრდილოეთის ფრონტზე, მდინარე პერაკის ქვემოწელში იაპონელთა ჯარები უმნიშვნელო აქტივობას იჩენდნენ. ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 7 იანვარს დილა-ადრიან იაპონელთა ჯარებმა ფრონტის ამ უბანზე გადამწყვეტი იერიში დაიწყეს, რასაც ხელს უწყობდნენ ჯავშნიანი ავტომობილები. იერიშის შედეგად იაპონელები ერთ პუნქტში რამდენადმე სოლივით შემოიჭრნენ ინგლისელთა ჯარების თავდაცვის ზონაში.

იაპონელთა ავიაცია მნიშვნელოვან აქტიობას იჩენს.

სელანგორში დიდი ოპერაციები არ სწარმოებს. პაჰანგის უბანზე ინგლისელთა ჯარები უკან დახევას განაგრძობენ გეგმის შესაბამისად. 6 იანვარს იაპონელთა ავიაციამ იერიში მიიტანა კლანგზე. ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ცნობები არ მოსულა. 6 იანვარს სინგაპურში საჰაერო განგაში გამოცხადდა, მაგრამ ბომბები არ ჩამოუყრიათ.

ინგლისის რანგუნის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 7 იანვარს, ნაშუადღევს, მოულმეინის რაიონში საჰაერო განგაში გამოცხადდა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები, დიდ სიმაღლეზე ფრენით მოახლოვდნენ, მაგრამ გარეკილ იქნენ. 7 იანვარს, 1 საათსა და 15 წუთზე, იაპონელთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ რანგუნის მახლობლად მდებარე აეროდრომს. თავდასხმა არაეფექტიანი აღმოჩნდა და არავითარი მსხვერპლი არ გამოუწვევია.

ავსტრალიის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონელთა ავიაციის მესამე თავდასხმა ავსტრალიის ტერიტორიაზე 6 იანვარს ღამით მოხდა. დაბომბეს აეროდრომი ქალაქ რებაულის მახლობლად. ნგრევა უმნიშვნელოა. მსხვერპლი არ არის. ქალაქის რაიონში არცერთი ბომბი არ ჩამოუგდიათ. უფრო გვიან იაპონიის 11 თვითმფრინავმა ხელახლა მიიტანა იერიში რებაულზე

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ლონდონი, 7 იანვარი (საქტესი). ჰოლანდიის ინდოეთის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონელთა თვითმფრინავები გამოჩნდნენ ჰოლანდიის ინდოეთის ზოგიერთ რაიონში. ნატუნის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე იაპონელთა თვითმფრინავებმა მცირე სიმაღლიდან ჩამოაგდეს რამდენიმე ბომბი. სამოქალაქო მოსახლეობაში სერიოზულად დაიჭრა ერთი კაცი. დანგრეულია 6 სახლი. ჰოლანდიის ინდოეთის ერთი წყალქვეშა ნავი დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 7 იანვარი (საქტესი). ოფიციალური ცნობებით, იაპონელთა ჯარები სელანგორში (მალაია) აწვებიან ქუალა-ლუმპურისაკენ. 2 იანვარს მათ დაიკავეს კამპარის მთელი რაიონი. იმავე დღეს ქუანტანის რაიონში იაპონელთა ჯარებმა აეროდრომი დაიკავეს.

4 და 5 იანვარს იაპონელთა საზღვაო ავიაციამ ძლიერ დაბომბა კორეგიდორის კუნძულის ნაგებობანი და მარიველესის ბაზა. დაზიანებულია მოწინააღმდეგის ერთი სამხედრო გემი. ჩამოგდებულია მტრის 5 თვითმფრინავი.

4 იანვარს ამერიკის თვითმფრინავებმა დავაოს ახლოს მსუბუქად დააზიანეს იაპონელთა კრეისერი. წყნარ ოკეანეში ჩაიძირა იაპონელთა ერთი წყალქვეშა ნავი.

ფაშისტი დამპყრობლები მემამულური წყობილების აღდგენას შეუდგნენ

სტოკჰოლმი, 6 იანვარი (საქტესი). ფაშისტი დამპყრობლები დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში მემამულური წყობილების აღდგენას შეუდგნენ. როგორც გერმანიის სოლუპაციო ხელისუფლებათა ორგანო „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდი" გადმოგვცემს, ნაცისტებმა გამოაცხადეს, რომ ჩამოერთმევათ მიწა სახლებს, რომელიც უფლებას ანიჭებს ყოფილ მემამულეებს ან მათ ნათესავებს „დაიბრუნონ სახლები და დაცუფლონ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ წინათ ეკუთვნოდათ". მემამულეებს ჰპირდებიან, რომ „გერმანიის ჯარები იარაღით დაიცავენ მათ".

შვეციის გაზეთი ჰიტლერის ჯარების სულიერი დაცემულობის შესახებ

სტოკჰოლმი, 6 იანვარი (საქტესი). გაზეთ „შელგენს ნიუხეტერმა" მოათავსა ბერლინიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელშიაც ნათქვამია: გერმანიის სამხედრო კორესპონდენტი მოგვითხრობს, თუ როგორ მიიტანეს იერიში ღამით გერმანიის ჯარის ნაწილებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. რომლებიც თავზარს სცემდნენ მათ. კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანელები ძალიან სიცოცხლედ და უმწეოდ გამოიყურებოდნენ, როდესაც ბნელ ღამესა და ყინვაში იერიშზე გადასვლის სიგნალს ელოდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ ხანგრძლივი და გამუდმებული ბრძოლისა და დიდი ზარალის შემდეგ უკვე ის აღარ არიან, რაც წინათ იყვნენ. საბჭოთა ჯარი საუცხოოდ არის შეიარაღებული და ეკიპირებული. როდესაც ბრძოლა დაიწყო, გერმანელები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ რუსები მამაცად იბრძოდნენ და სიკვდილს არაფრად აგდებდნენ. ეს დაუნდობელი ბრძოლა იყო.

გერმანელები საფრანგეთის გემებს იყენებენ ბლოკადის გასარღვევად

ლონდონი, 6 იანვარი (საქტესი). ინგლისის ეკონომიური ომის სამინისტროს წარმომადგენელმა რადიოთი წარმოთქმულ განცხადებაში აღნიშნა, რომ 1941 წელს გერმანია გაძლიერებით იყენებდა ვიშის მთავრობას, რათა გაერღვია ინგლისის ბლოკადა. ერთი წლის განმავლობაში ინგლისის ფლოტმა დაიკავა საფრანგეთის 46 გემი, რომელთაც საქონელი გადაჰქონდათ გერმანიისათვის. საფრანგეთის გემებს, რომლებიც ჩრდილო აფრიკასა და მარსელს შუა დადიოდნენ, გადაჰქონდათ ღერძის სახელმწიფოებისათვის საჭირო ღიდძალი ფოსფატი, რკინის მადანი და მანგანუმი.

იაპონია-ჩინეთის ომი

ხუნანის პროვინციაში, ქალაქ ჩანშის ჩრდილოეთით, ბრძოლაა ჩინეთის ჯარებსა და იაპონელთა იმ ჯარის ნაწილებს შორის, რომლებიც გარშემორტყმული არიან მდინარეების ლაო-ტაოს და ლიუიანის რაიონში. ბრძოლაა აგრეთვე მდინარე მილოს ზღუდეზე 50 კილომეტრზე ჩანშის ჩრდილოეთით. აქ ჩინეთის ჯარებმა ხელთ იგდეს უმნიშვნელოვანესი გადასასვლელები. იაპონიის ჯარებს დიდი ზარალი მოსდით. იოჩოუში თავმოყრილია იაპონიის არტილერიისა და მექანიზებულ ნაწილთა დიდი ძალები.

7 იანვარი (საქტესი).

აჭარის მწერალთა ნაწარმოებების კრებული

(„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა აჭარის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა კრებული „სისხლი სისხლის წილ".

კრებული იხსნება პარმენ ლორიას მოთხრობით „სისხლი სისხლის წილ". კრებულში მოთავსებულია ნესტორ მალაზონიას, პარმენ რურუას, კაპიტონ რუსიძის, შალვა შუბლაძის, გრიგოლ გრიგორიანის, ნადიდე გვარიშვილის, გიორგი სალუქვაძისა და დომენტი გოგიტიძის ლექსები.

ს. ჟურაშვილი.

ი. ანდრონიკაშვილის საღამო

საქართველოს მწერალთა კლუბი იანვარ-თებერვალში გამართავს ამჟამად თბილისში მყოფ მოსკოველ, ლენინგრადელ და უკრაინელ მწერალთა შემოქმედებით საღამოებს. პირველი საღამო, რომელიც ამ დღეებში შესდგა, მიძღვნილი იყო ირაკლი ანდრონიკაშვილის შემოქმედებისადმი.

ი. ანდრონიკაშვილი ცნობილია ორიგინალური ჟანრით, ე. წ. ზეპირი მოთხრობების ოსტატური შესრულებით. იგი მოთხრობას, რომელსაც თვითონვე სწერს, არ კითხულობს, არამედ თამაშობს. მოთხრობის მოქმედი პირნი უმთავრესად კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები და მუსიკოსები არიან. ი. ანდრონიკაშვილი დიდი ოსტატობით ბაძავს მათს ინტონაციას, სხეულის მოძრაობას, საუბრის მანერას. არტისტს იშვიათი მეხსიერება აქვს. მისი სახე, მთელი სხეული მოძრავია. უცრიმოდ, უაქცენტოდ არტისტი ისე წარმოგვიდგენს სახეს, თითქოს ადამიანი ცოცხალი იდგეს მაყურებლის წინაშე.

ი. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა რამდენიმე საინტერესო მოთხრობა: „დედოფლის მცველი", „ჩემი პირველი გამოსვლა ესტრადაზე", „ა. ტოლსტოის საუბარი", „ბ. პასტერნაკი ტელეფონთან", „სამჯერ შეურაცხყოფილი" და სხვ.

ჩვენის აზრით განსაკუთრებით საინტერესოა ტიპიური სახეები, რომლებსაც ავტორი-არტისტი დიდი ოსტატობით ჰქმნის. ასეთია სოლიარტინსკი, დედოფლის მცველი. ამ სახეების შექმნით ი. ანდრონიკაშვილმა გვიჩვენა, რომ იგი არა მარტო ნიჭიერი იმიტატორია, არამედ დიდი სახასიათო ჟანრის მსახიობი.

გრ. ნუცუბიძე.

მესამე ხუთწლედის სახალხო სესხი

(მეორე წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვება

მოგებათა მერვე ტირაჟის საცნობო ცხრილი

მოგება ხვდა ყველა 74 თანრიგში შემდეგ სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
60026	1—50	150	70980	19*)	500
60035	1—50	150	71164	1—50	150
60050	1—50	150	71248	1—50	150
60077	1—50	150	71301	20*)	500
60298	1—50	150	71326	1—50	150
60351	1—50	150	71384	1—50	150
60418	1—50	150	71539	1—50	150
60422	1—50	200	71581	1—50	150
60494	1—50	150	71605	1—50	200
60597	1—50	150	71616	1—50	150
60670	1—50	150	71680	1—50	150
60793	1—50	150	71756	1—50	150
60836	1—50	150	71820	1—50	150
60888	1—50	150	72004	1—50	150
60969	1—50	150	72073	1—50	150
61043	1—50	150	72117	1—50	150
61376	1—50	150	72228	48*)	500
61395	31*)	500	72244	31*)	500
61479	36*)	500	72275	1—50	200
61521	1—50	150	72370	1—50	150
61642	1—50	200	72409	1—50	150
61665	31*)	1 000	72431	1—50	200
61751	1—50	200	72477	1—50	150
61801	1—50	150	72527	1—50	150
61840	20*)	500	72539	1—50	150
61854	1—50	150	72729	1—50	150
61869	17*)	500	72886	1—50	150
62069	1—50	150	72888	1—50	150
62079	1—50	150	73139	1—50	150
62287	1—50	150	73201	11*)	500
62355	1—50	150	73476	24*)	500
62465	1—50	150	73477	1—50	150
62794	1—50	150	73514	45*)	500
62882	1—50	150	73722	1—50	150
62975	18*)	500	73783	1—50	150
63067	1—50	200	73825	1—50	150
63179	42*)	500	73911	1—50	150
63184	1—50	150	73929	07*)	500
63225	1—50	150	74015	1—50	150
63229	1—50	150	74017	1—50	150
63310	1—50	150	74063	1—50	150
63388	1—50	150	74128	1—50	150
63408	1—50	150	74196	1—50	200
63441	1—50	150	74280	41*)	500
63461	1—50	150	74349	1—50	150
63624	1—50	150	74366	1—50	150
63652	1—50	150	74372	22*)	500
63653	1—50	150	74531	1—50	150
63659	28*)	500	74557	12*)	1 000
63665	25*)	500	74738	1—50	150
63725	1—50	200	74770	1—50	150
64204	1—50	150	74909	1—50	150
64304	29*)	500	75013	14*)	500
64544	43*)	1 000	75018	1—50	150
64756	1—50	200	75083	49*)	500
64984	25*)	500	75192	1—50	150
65040	1—50	150	75282	1—50	150
65066	1—50	200	75363	1—50	150
65153	1—50	150	75403	1—50	150
65329	1—50	150	75517	1—50	200
65371	1—50	150	75549	1—50	150
65376	32*)	500	75574	42*)	500
65377	1—50	150	75905	1—50	150
65409	1—50	150	75916	1—50	150
65439	1—50	150	76040	33*)	500
65466	1—50	150	76060	1—50	150
65517	1—50	150	76069	1—50	150
65703	1—50	150	76108	1—50	150
65822	1—50	200	76220	09*)	500
65923	1—50	150	76232	1—50	150
66161	1—50	150	76306	1—50	150
66275	1—50	200	76483	1—50	150
66353	1—50	150	76617	04*)	1 000
66471	1—50	150	76629	43*)	500
66488	1—50	150	76718	1—50	150
66550	12*)	500	76757	1—50	150
66562	1—50	150	77004	1—50	150
66659	1—50	150	77072	1—50	150
67028	1—50	150	77179	1—50	150
67055	07*)	500	77223	1—50	150
67081	1—50	150	77253	1—50	150
67160	1—50	150	77268	25*)	500
67272	39*)	3 000	77271	1—50	150
67579	1—50	150	77510	04*)	500
67580	1—50	150	77514	1—50	150
67593	1—50	150	77634	11*)	500
67602	1—50	150	77637	1—50	150
67691	1—50	150	77685	47*)	500
67719	1—50	150	78056	1—50	150
67902	05*)	500	78152	1—50	150
67958	25*)	500	78196	1—50	150
68100	03*)	500	78282	1—50	150
68278	24*)	500	78302	1—50	150
68333	1—50	150	78317	1—50	150
68431	1—50	150	78347	1—50	150
68503	1—50	200	78354	12*)	500
68516	1—50	200	78387	03*)	500
69074	02*)	500	78475	1—50	150
69201	41*)	500	78677	1—50	150
69417	25*)	500	78827	1—50	150
69419	1—50	150	78888	1—50	150
69447	1—50	150	79003	1—50	150
69499	1—50	150	79020	48*)	500
69578	1—50	150	79021	1—50	150
69597	30*)	1 000	79027	13*)	500
69603	1—50	150	79077	1—50	150
70007	07*)	500	79348	1—50	150
70057	1—50	200	79508	20*)	500
70077	1—50	150	79537	1—50	150
70138	36*)	500	79540	1—50	150
70157	06*)	500	79541	1—50	200
70639	48*)	500	79557	1—50	200
70644	22*)	500	79617	1—50	150
70645	1—50	150	79716	1—50	150
70781	1—50	150	79736	1—50	150
70811	1—50	150	79747	1—50	150
70821	1—50	200	79809	1—50	150
70836	1—50	150	79867	1—50	150
70882	1—50	150	79881	1—50	150
70917	1—50	150	79970	1—50	150

*) ამ სერიის ობლიგაციის დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მან.

ლექცია

8 იანვარს, საღამოს 8½ საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომის პუნქტის დარბაზში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. პავჩინსკის (რუბენი) ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ჰიტლერელთა გერმანია საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი კოალიციის მარწუხებში".**

შესვლა თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი სთხოვს ამხ. **მ. გ. კუბაბრიას, შ. ა. იობაშვილს** და **პ. ტ. აგიბალოვს** გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. **ვერულავასთან.**

საქ. კ. პ. (ბ) უვარლის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2858884, გაცემული ფათა რამაზან-ოღლი **ალიევის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3721804, გაცემული ეფროსინე ეფიმის-ასულ **მასიუტინას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2861751, გაცემული არჩილ დავითის-ძე **ნონიაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3725729, გაცემული კირილე გულის-ძე **გასაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათები № 3084269, გაცემული ოლიმპიადა იუანეს-ასულ **მუხერიძის** სახელზე, და № 1680778, გაცემული სარა თომას-ასულ **კობახიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

საოპერო — 8 იანვარს — **„ტრავიატა". რუსთაველის სახელობის** — 9 იანვარს **„რღვევა"**, 10 იანვარს — დილით **„რღვევა". მარჯანიშვილის სახელობის** — 9 იანვარს — **„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"**, 9 იანვარს დილით — **„მკაცრი ქალიშვილები"**, 10 იანვარს — **„მილიონთა რისხვა". სანკულტურის** — 9 იანვარს — **„ერთმოქმედებიანი პიესების დილა"**. 10 იანვარს — **„გაგრძელება იქნება". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 9 იანვარს — **„სკაპენის ოინები"** (მე-36 აბ., დასაწყ. დილის 12 ს.), 9 იანვარს — **კონცერტი** (აბ. გარეშე დასაწყ. საღ. 8 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სომხური კინოკონცერტი", **დამკვრელი** — „ჰაიდის ჯარისკაცები", **ოქტომბერი** — „პეპო", **სპარტაკი** — „კინო და არტისტი", **ლუქსემბურგის სახ.** — „დათვი", „ნიღაბი", **კომინტერნი** — „კუზიანი კვიცი".

თბილისის საცირკო

დიდი საცირკო წარმოდგენა. მრავალფეროვანი განახლებული პროგრამა. ახალი გასტროლიორები. ფრანგული ჰიდაობის მატჩები.

8 იანვარს ჭიდაობენ: პლიასულია — ბაბალიკაშვილი, ვსევოლოდ ხერცი — სტრიჟაკი, ტიურინი — ვიდრიაკოვი.

9 იანვარს ჭიდაობენ: ვიდრიაკოვი — ვსევოლოდ ხერცი, ბაბალიკაშვილი — ბიკოვი, ლენისოვი — ზაგორუიკო.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

გამოვიდა და „სოიუზპეჩატის" ყველა კიოსკში იყიდება
„კომუნისტის" სააგიტაციო ფურცელი № 1 (37)
ფასი 35 კაპეიკი.

მეუღლე რებეკა, შვილები საშა, თამარ, ლენა, სიძეები ანატოლი, ვახტანგ, რძალი ლენა იუწყებიან **ანდრო ფილიპეს-ძე ვაშაკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/I 5 ს. ლოტკის, 1. 28

მეუღლე ბაბალე, შვილები ნინო, თამარ, მაყვალა, ვახტანგ, ძმისწულები გოგი, ვანიკო იუწყებიან **ივანე გრიგოლის-ძე დოდაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 და 10/I 7 ს. მონტინის, 5, გამოსვენება 11/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 26

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—02; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80 — 83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3—81—65; ვამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3 — 77 — 70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.